ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№26 (1361)

6-12 აგვისტო, 1993 წ.

# ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა, თუ საქართველო არ იარსებებს!..

დიალოგი ტროლეიბუსში:

— ძალიან უნდა მოგვენდომა, რომ ასე „ღირსეულად" დაგვემთავრებინა ომი!

— შე კაცო, მაგან იცის რასაც აკეთებს!

ცოტა უფრო მორიდებულად:

— აბა შენ ეს ყველაფერი მოგწონს?

— იცი რა? წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან!!!

ავტორის მინაწერი: „წიწილებს მართლა შემოდგომაზე დავითვლით, მხოლოდ თუ თვლის თავი კიდევ გვექნება!!!"

მიმიხვდით ალბათ, რომ წერილი აფხაზეთს შეეხება. რასაკვირველია საგაზეთო სტატია ყველაფერს ვერ დაიტევს და ამიტომაც შევეცდები რაც შეიძლება ლაკონურად გავაანალიზო მომხდარი და ჩემი, სუბიექტური აზრი გამოვთქვა.

პირველ რიგში გავიაზროთ თუ როგორი საქართველო წარმოგვიდგენია ჩვენ. და რანაირ კომპრომისზე შეგვიძლია წასვლა აფხაზეთთან დაკავშირებით აფსუებთან არ რუსებთან.

რასაკვირველია რუსეთს თავისი სტრატეგიული ინტერესები აქვს და ექნება საქართველოში, ასეთია პატარა სახელმწიფოების ბედი, მითუმეტეს როდესაც ზესახელმწიფო შენი მეზობელია. ამჟამადაც რუსეთის ზუსტად ასეთი „მზრუნველობის" შედეგებს განვიცდით ჩვენს თავზე. ჩემი აზრით რუსეთის მთავარი მიზანია საქართველოს „ბულგარიზაცია" ან „პოლონიზაცია" — ვგულისხმობ საერთაშორისო არენაზე მის უსიტყვო, მორჩილ სატელიტად გახდომას. ეს გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია მისაღებიც კი ყოფილიყო, რომ არა მისი განხორციელების მეთოდები.

რას ვგულისხმობ?

რუსეთი ჩვენ არ გვენდობა და მას აუცილებლად უნდა ისეთი გარანტიები რომლებიც მისი აზრით იქნება ან სამუდამო, ან უარეს შემთხვევაში გრძელვადიანი.

რა შეიძლება იყოს ასეთი გარანტია?

არამც და არამც მისი ჯარის ჩვენთან ყოფნა და თქვენ წარმოიდგინეთ თვით კაბალური ხელშეკრულებაც კი. ესენი მხოლოდ გამტარებელი მექანიზმები იქნებიან და აქ მთავარი სხვა რამაა.

საქართველოს რიგი ტერიტორიების, საქართველოსადმი სახელშეკრულებო დამოკიდებულებაში დაფიქსირება, მათთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭება და მათზე საქართველოს იურისდიქციის მხოლოდ ნომინალური გავრცელება.

ამის მაგალითია ამჟამინდელი ვითარება შიდა ქართლში, იგი მხოლოდ რუქაზეა საქართველოს ფარგლებში. ასეთსავე სიტუაციას გვიმზადებენ აფხაზეთშიც.

შეგვიძლია ჩვენ ამაზე წავიდეთ?

აქვს აზრი, შედეგობრივი თვალსაზრისით, ტერიტორიას ნებაყოფლობით დავუთმობთ თუ ომით?

პასუხი მკითხველისთვის მიმინდვია.

სავსებით სწორედ ბრძანებს ბატონი ა.ბაქრაძე — „ჩვენ თუ ეს ომი წავაგეთ, საქართველო აღარ იარსებებსო".

მაგრამ მე პატარა შესწორება მინდა შევიტანო აქ (ბოდიშს ვიხდი ჩემთვის უაღრესად პატივცემულ პიროვნების ბატონ ა.ბაქრაძის მიმართ, რომლის მიმართაც ასეთი აღვირახსნილი, ცილისმწამებლური კამპანია გაჩაღდა ამ ბოლო დროს, მაგრამ მგონია რომ ისიც დამეთანხმება).

აქ საჭიროა გავატაროთ დიფერენციაცია.

ვისთან წავაგებთ ომს!? ფსიქოლოგიური ფაქტორი მაქვს მხედველობაში.

თუ აფსუებთან წავაგეთ — დიახ, საქართველო აღარ იარსებებს!

თუ რუსეთთან — სხვა ვითარება შეიქმნება!

რუსეთთან ომი გერმანიამაც წააგო და ამერიკამაც (ვიეტნამს ვგულისხმობ) აქედან გამომდინარე მე იმის თქმა მინდა, რომ თუ ომი უნდა წავაგოთ (რაც მე გარდაუვალად არ მიმაჩნია; რაზედაც ქვემოთ მექნება საუბარი) უკეთესია წავაგოთ რუსეთთან, რომელიც სინამდვილეშიც მასთან, რუსეთთან მიმდინარეობს.

მაგრამ ჩვენმა „ბრძენმა ხელისუფლებამ", რომლის მონოპოლია საგარეო პოლიტიკაზე სრული იყო, ესეც მოახერხა. მან ომი აფსუებთან წაგვაგებინა. ეს უბრალო მაგალითითაც შეიძლება შეამოწმოს ნებისმიერმა ადამიანმა. ამ სტრიქონების ყოველმა წამკითხველმა დაუსვას თავის თავს ერთი უბრალო კითხვა — როდესმე ყოფილა ქართველი ერი ასე დამცირებული და თუ გრძნობს ის როგორც ქართველი ეროვნულ სირცხვილს?

ხელისუფლებამ კი მითიური პერსპექტივის გულისათვის, გაითამაშა ორი რუსეთის კარტი და რა მივიღეთ ცუდის მეტი? გინდა ფსიქოლოგიურ, გინდა პრაქტიკულ ასპექტში?!

არ ჭრის „ამხანაგებო" ეგ პოლიტიკა, ხომ დარწმუნდით ამ 11 თვის მანძილზე. ნუთუ რომელიმე ჭკვიან პოლიტიკოსს ჰგონია, რომ რუსეთის დახმარებით შეიძლება ანტირუსული საქმის გაკეთება, ხოლო „აფსუების დამარცხება" და საქართველოს გაძლიერება რომ რუსეთს არ აწყობს სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ზოგიერთებმა ეს კიდევ ვერ გაიგეს, ან არ უნდათ გაიგონ.




საქართველოს გაძლიერება იქნება რუსეთის პოზიციების შესუსტება ამიერკავკასიაში და ამის გაკეთებას აპირებთ რუსეთის ხელით?

ნეტარ არიან მორწმუნეები.

მაგრამ ძაღლის თავი სხვაგანაც არის დამარხული.

როდესაც გაჩაღებული იყო შიდა ქართლის კონფლიქტი, ქართველები ვიბრძოდით იმ ხულიგნებით, რომ ეს ჩვენი მიწაა და იგი უნდა დავიხსნათ აქ ჩამოსახლებული ხიზანი ოსებისაგან.

ამ ომში ქართულმა მხარემ ხუთჯერ ნაკლები ხალხი დავკარგეთ — მხედველობაში მაქვს საჯარისო ნაწილები. ჩვენი მხრიდან მსხვერპლი იყო დაახლოებით 100 კაცი, ოსების მხრიდან კი 500-მდე. ამას დაუმატოთ რომ გ.ყარყარაშვილს თითქმის აღებული ჰქონდა ცხინვალი და ის იქიდან მთავრობამ გამოიყვანა. ამავე დროს იქაც იდგა რუსეთის ჯარი (შვეულმფრენთა და მესანგრეთა პოლკები) რომლებიც არანაკლებ ეხმარებოდნენ ოსებს და ზოგიერთი ჩვენი მეომრის მონაყოლით უშუალოდ საომარ ოპერაციებშიც ებმებოდნენ.

ეხლა კი რა ხდება?!

ოფიციალური იდეოლოგია ქადაგებს: — მიმდინარეობს, უკაცრავად „მიმდინარეობდა" ძმათამკვლელი ომი.

არ არის ეს ძმათამკვლელი ომი!

ეს ომი არის სამამულო! სამამულო და მხოლოდ სამამულო!

ვერ იქნება აფსუა ჩვენი „ძმა"! საკუთარ თავს დავცინით?

არ შეიძლება იყვნენ ჩვენი ძმები ისინი, ვინც ჩვენ მოსახლეობას ხოცავს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები

გაგრძელება მე-3 გვ.

## ხერგილების ტყე

სულ ათიოდე დღის წინ ცხინვალის მისადგომთან მხოლოდ ორი ხერგილი იყო. ერთი უშუალოდ ქალაქის შესასვლელში, ე.წ. „ტექთან", რომელსაც რუსეთის არმიის ჯარისკაცები აკონტროლებენ და მეორე მისგან 600—700 მეტრით სამხრეთისაკენ, სადაც ოსური თეთრ-ყვითელი-წითელ დროშიანი სამხედროები დგანან. სულ ახლახანს მესამეც გამოჩნდა. კიდევ უფრო სამხრეთის გორისაკენ, რომელთანაც ჯერჯერობით მხოლოდ ქართველი ჯარისკაცები ფუსფუსებენ. ჯერჯერობით ვამბობთ, რადგან აქ უკვე გამოჩნდნენ ოსურად მოყაყანე ფორმიანი პირები და რამდენადაც ამ ხალხის თავხედობასა და ქართველთა გულუბრყვილობას საზღვარი არ აქვს, ალბათ, სულ მალე ისინი აქ დაიწყებენ საბუთების შემოწმებას.

სულ რაღაც სამ კილომეტრში სამი ხერგილი მეტისმეტად ბევრი ხომ არ არის ომისაგან დაღლილი მოსახლეობისათვის. თუ ხერგილები წესრიგის დაცვას ემსახურებიან, კარგი იქნება სამივე ეროვნების ჯარმა ეს ერთ ხერგილთან მოახერხოს, სხვა შემთხვევაში ხალხს სალაპარაკო თემა ეძლევა, ოსებს კი საქართველოს გულისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ გადმოადგილების საშუალება.

## სამაჩაბლო

## როდის დაიკეტება საზღვარი?

ვლადიკავკასიის სასაზღვრო რაზმის შტაბის უფროსის პოდპოლკოვნიკ ალექსანდრე ეგოროვის განცხადებით მისი ხელქვეითები ამზადებენ სასაზღვრო რაზმების ადგილსამყოფელებს საქართველოს ტერიტორიის გასწვრივ სოფლებთან ძინაგასთან, ბურონთან, ფიაგდონთან და ზემო ლარსთან. მზადდება გამშვები პუნქტი სოფელ ბალთაშსთან. საზღვარი ჩრდილო და სამხრეთ ოსეთებს შორის, აგრეთვე როკის გვირაბი, რომელსაც დღეს ოსური მილიცია ჰკონტროლ-

გაგ[illegible]-3 [illegible]

# საქართველოს სახალხო ფრონტში

მიმდინარე წლის 30 ივლისს გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების განხილვა.

2. საქართველოს სახალხო ფრონტის პოზიცია თბილისსა და ქუთაისში არასანქცირებული მიტინგების დარბევის მიმართ.

3. ორგანიზაციული საკითხები

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ, ბატონმა ნოდარ ნათაძემ მიმოიხილა რესპუბლიკაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება. კერძოდ, აღნიშნა, რომ აფხაზეთის ომი, შეიძლება ჩავთვალოთ, არ წაგვიგია. ვითარების სირთულე სხვა რამეში მდგომარეობს. ცეცხლის დროებითმა შეწყვეტამ, შესაძლოა, საქართველოში გამოიწვიოს სამოქალაქო ომი და „ეს ომი იქნება სულელების ომი“.

საქართველოში მდგომარეობის ნორმალიზებისათვის ბატონ ნოდარ ნათაძის აზრით, აუცილებელია არაფრისგამკეთებელი, ჰაერში გამოკიდებული მინისტრთა კაბინეტის გადადგომა, რომელიც ხელისუფლებაში მოსულია სისხლით და მის ნაცვლად ახალი მინისტრთა კაბინეტის შექმნა, რომელიც პატიოსანი, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდება და რომელსაც შეეძლება მთელ რიგ საკითხებში სახელმწიფოს მეთაურისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ დაგმო პოლიციის მიერ არასანქცირებული მიტინგების უხეში დარბევის ფაქტები თბილისსა და ქუთაისში და დარბაზის წევრებს გააცნო საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადების ტექსტი ამ საკითხებთან დაკავშირებით.

მანვე დარბაზის წევრებს შესთავაზა მიეღოთ მიმართვა რესპუბლიკის პარლამენტისადმი, რომელშიც მოუწოდებენ პარლამენტარებს მიმართონ გაეროს რუსეთის ფედერაციის, როგორც აგრესორის, ჯარებისათვის გაეროს ეგიდით სამშვიდობო ძალების სტატუსის მინიჭების დაუშვებლობის შესახებ.

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზმა მიიღო განცხადება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და ხელისუფლების მიერ გატარებული საშინაო პოლიტიკის შესახებ . (განცხადებისა და მიმართვის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება)

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა გავაშელმა ისაუბრა სახალხო ფრონტის რაიონული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ და დარბაზის წევრებს შესთავაზა წინადადებანი რაიონული ორგანიზაციების მუშაობის სტრუქტურული და ორგანიზაციული გადახალისებისათვის.

დარბაზის სხდომაზე განიხილეს საქართველოს სახალხო ფრონტის მმართველი საბჭოს მუშაობის საკითხები. დარბაზის წევრთა წინადადებით მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, სახალხო ფრონტის წევრები ბატონები გაიოზ როგავა, ლევან მესხი, ზურაბ გოგია, ვასილ ბუზალაძე, გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის მოადგილე სერგო ჯანაშია, რომელიც ,ამასთანავე, დაინიშნა საქართველოს სახალხო ფრონტის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელად.

სახალხო ფრონტის დარბაზმა დანიშნა სახალხო ფრონტის რწმუნებულები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

* * *

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზმა მიიღო გადაწყვეტილება დაეხმარონ აფხაზეთში დაჭრილ მეომრებს, იქ დაღუპულთა ოჯახებს და კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ უსახლკაროდ დარჩენილ, მიუსაფარ ადამიანებს.

ბიბლიოთეკა

ამ მიზნით სსფ-ის დარბაზის დადგენილებით საქართველოს სახალხო ფრონტთან შეიქმნა შტაბი, რომელიც სურსათით, მედიკამენტებით, ტანსაცმლით, ფულადი სახსრებით დაეხმარება დაჭრილ მეომრებს, აფხაზეთში დაღუპულთა ოჯახებს და იქ მცხოვრებ უსახლკარო ადამიანებს.

შტაბი მიმართავს საქართველოს სახალხო ფრონტის რაიონულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებს, ფირმებს, ასოციაციებს, კერძო პირებს გამოიჩინონ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში მიაწოდონ სურსათი, მედიკამენტები, ტანსაცმელი, ფულადი შემოწირულობანი.

შტაბის თავმჯდომარეა ელგუჯა ჩხაიძე.

შტაბის მისამართია: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5–7, საქართველოს სახალხო ფრონტის შტაბ-ბინა. ტელ. 93–17–03, 93–15–89

საქართველოს სახალხო ფრონტის პრეს-ცენტრი

## საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია, რომ

ა) საქართველოს საგარეო პოლიტიკა, გარდა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობისა, მოსაწონია მისი აქტიურობისა და სწორი ორიენტაციის გამო.

ბ) საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობაში არადამაკმაყოფილებელია. ნაცვლად მტკიცედ დგომისა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ნორმების ნიადაგზე, რომლებიც საქართველოს სრულ საშუალებას აძლევდა და დღესაც აძლევს მეზობელი სახელმწიფოს აგრესიის მოგერიებისათვის უფლებრივ სფეროში, საქართველოს ხელისუფლებამ აირჩია აგრესორთან მხოლოდ არაოფიციალური საუბრების კურსი, კაპიტულანტური ოფიციალური ურთიერთობის და ოფიციალური დოკუმენტების შექმნის ფონზე, სახელდობრ, დღემდე საქართველოს ხელისუფლებას არ დაუფიქსირებია, რომ რუსეთი ეწევა გამოუცხადებელსა და შეზღუდულ ომს საქართველოს წინააღმდეგ და არ მიუმართავს სათანადო საჩივრით გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციისათვის; საქართველომ დადო რამდენიმე კაბალური შეთანხმება რუსეთთან, რომლითაც ამ უკანასკნელს მიეცა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და მიენიჭა საქართველოში შეიარაღებული მშვიდობისმყოფლის ფუნქცია, რაც დიდად ხელსაყრელია რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟისათვის, მაგრამ მომაკვდინებელია საქართველოსათვის.

გ) საქართველოს ხელისუფლების საშინაო პოლიტიკა როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სფეროში აგრეთვე არადამაკმაყოფილებელია ზღვარგადასული კორუფციის, ეფექტიან მართვაზე ფაქტობრივად ხელის აღების, კადრების ცუდი შერჩევისა და ქაოსის წინაშე უძლურობის გამო. არადამაკმაყოფილებელია დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა ელემენტარული ნორმების დაცვის მდგომარეობაც, საკუთარ ქვეყანაში შეჯავშნული დამსჯელი ექსპედიციების ჩატარების ჩათვლით.

დღემდე გამოუძიებელი წარუმატებლობები, ფრონტზე საფუძველს იძლევა დასკვნისთვის, რომ ადგილი აქვს საქართველოს რესპუბლიკის დიდმასშტაბიან ღალატს ჯერჯერობით გაურკვეველი პირების მხრიდან.

თქმულიდან გამომდინარე, სსფ-ს მიაჩნია, რომ საქართველოს გამოყვანისათვის კატასტროფულიმდგომარეობიდან საჭიროა მკვეთრი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ზომების მიღება. სახელდობრ:

1. საქართველოში ახალი, სანდო და ქმედითი ხელისუფლების შექმნის მიზნით დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს მინისტრთა კაბინეტი, როგორც ეფექტიანი მუშაობის უნარმოკლებული. დასაშვებია მისი ცალკეული წევრების შესვლა ახალ მთავრობაში.

2. უნდა მკვეთრად გაფართოვდეს მინისტრთა ახალი კაბინეტის უფლებამოსილება, კერძოდ ეკონომიკისა და ადმინისტრაციის, თავდაცვის, რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთობის რეგულირების დარგში, რათა განხორციელდეს მისი დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე ამ სფეროში.

3. უნდა დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები რამდენიმე თვის ვადაში. ყველა მიმართულების პოლიტიკურ ჯგუფთან და პარტიებთან კონსულტაციით უნდა დადგინდეს ამ არჩევნების ჩატარების წესი.

საქართველოს
სახალხო ფრონტის
დარბაზი
30 ივლისი, 1993 წ.

## საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისადმი

მიმდინარე წლის 27 ივლისს საქართველოს პარლამენტის 122-მა წევრმა ხელი მოაწერა მიმართვებს გაეროსა და მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებსა და მთავრობებისადმი, სადაც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — აფხაზეთში — მიმდინარე კონფლიქტი კვალიფიცირდება, როგორც „რუსეთის გამოუცხადებელი და შეზღუდული ომი საქართველოს წინააღმდეგ“.

პარლამენტართა ჯგუფის აღნიშნული მიმართვა შეიძლება პოლიტიკურად შეფასდეს, როგორც პარლამენტის მიერ გამოკითხვის წესით მიღებული დადგენილება. თქმულიდან გამომდინარე, არამცთუ საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენელს, არამედ რიგით მოქალაქესაც არა აქვს არც იურიდიული, არც მორალური უფლება რაიმე ფორმით დაუკანონოს აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს სამშვიდობო ძალების სტატუსი.

ითვალისწინებს რა ზემოთაღნიშნულს, საქართველოს სახალხო ფრონტი მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს შემდეგი წინადადებებით:

1) საქართველოს პარლამენტმა მიმართოს გაეროს რუსეთის ფედერაციის, როგორც აგრესორის, ჯარებისთვის გაეროს ეგიდით სამშვიდობო ძალების სტატუსის მინიჭების დაუშვებლობის შესახებ.

2) საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი წარსდგეს გაეროს წინაშე წინადადებით, რომ ზოგადად აიკრძალოს ამა თუ იმ ქვეყნის შიგნით მიმდინარე კონფლიქტებში ამ ქვეყნის მოსაზღვრე სახელმწიფოს ჯარების გაეროს ეგიდით გამოყენება.

3) ეთხოვოს გაეროს გენერალურ მდივანს ეს წინადადებები, გაეროს რეგლამენტით მიღებული წესების შესაბამისად, წარუდგინოს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად.

საქართველოს
სახალხო ფრონტის
დარბაზი
30 ივლისი, 1993 წ.

## ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა, თუ საქართველო არ იარსებებს!..

დასასრული

რიან. თავებს აჭრიან, თვალებს თხრიან, აწამებენ ხალხს მხოლოდ ეროვნული კუთვნილების გამო.

არ შეიძლება ისინი აგრეთვე წარმოვიდგინოთ როგორც მოტყუებული ერი. ერი მოტყუებული არ შეიძლება იყოს, ის შეიძლება იყოს მხოლოდ დაგეშილი.

დაგეშილი აფსუა რომ მიდის ომში მან იცის მხოლოდ ერთი რამ — ეს არიის მისი მიწა, მხოლოდ მისი და ქართველები მას ამ მიწას ეცილებიან. სხვათა შორის იმ მიწას, რომელზეც მათ (ანუ აფსუებმა) უნიკალური კულტურა შექმნეს და შემდეგ ბევრი რამ ქართველებმა მათ მოპარეს და მიითვისეს.

ასე არიან ისინი ბავშვობიდან აღზრდილნი.

ეს არის მათი იდეოლოგია და იგი სავსებით ამართლებს ომის პირობებში.

ჩვენ კი?!

ილია რომ ცოცხალი იყოს, მეორე „ქვათა ღაღადისს“ დაწერდა.

ჩვენ ამაყად ვაცხადებთ — ქართველები ვიცავთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. არ არის ეგ მართალი, ან თუ გნებავთ მთლად მართალი.

სიმართლე შემდეგშია: ჩვენ, ჩვენ მიწას ვიცავთ მე-17 საუკუნეში ადიღედან ჩამოთესლილი ტომებისაგან, რომელთაც არამც თუ კულტურა, არამედ მისი ჩანასახიც კი არ ჰქონდათ.

არ არის აფხაზეთის მიწა ქართველების და აფსუების სამშობლო.

აფსუების სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიაშია, აფხაზეთი კი მხოლოდ ქართველების სამშობლოა. ეს გადაჭარბებული შეფასებაც რომ იყოს, ჯარისკაცი ბრძოლაში ასეთი შეგრძნებით უნდა მიდიოდეს, თორემ რა გამოდის?! რიგითი მეომარი აფხაზეთის ომში შემდეგი ფსიქოლოგიური დატვირთვით მიდის: „ის ებრძვის რუსების მიერ მოტყუებულ და დროებით შეცდენილ ძმებს“.

რა არის ხალხო, ბნელა?

აფსუებს ჰგონიათ თუ სოხუმს რუსულად ი ასოს ჩამოაშორებენ და დაუძახებენ — სუხუმ — ე.ი. აფხაზური სახელია.

გინდა სოხუმი დაუძახე, გინდა სუხუმ — სახელი მაინც ქართულია, რადგან ორივე ფორმა ნაწარმოებია ქართული ტოპონიმიდან — ცხუმი.

ასე რომ დამნახველმა მე მგონი უკვე დაინახა და იგრძნო — იდეოლოგიური ფონი აუცილებელია, თუ არა გადამწყვეტი.

ჩვენთან კი ძალიან რომ გაჭირდა, 2—3 ივლისს მაშინ დაიწყო ოფიციალურმა ტელევიზიამ ოდნავ უფრო პატრიოტული პათოსის გადაცემების გაშვება. თუმცა ისიც დოზირებით, არიქა ბევრი არ მოგვივიდესო. ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლის გახსნამ მოკრძალებით ჩაიარა, სამაგიეროდ მეორე წელია მაისობა მოვიგონეთ და არა უბრალოდ მაისობა, არამედ საიათნოვას დღეები. თბილისში ერეკლეს ძეგლი არა დგას, სამაგიეროდ მალე ალბათ საიათნოვას ძეგლი გვექნება.

ეს ისე, ნიუანსია, მაგრამ მაინც.

**ხო მართლა, ესეც ნიუანსია მაგრამ მინდა ვიკითხო: საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ბლანკები რატომ უნდა იყოს სამენოვანი? ქართულ, რუსულ, ინგლისური.**

**ჩემი აზრით უნდა იყოს ქართული და ინგლისური.**

**ასეთი ფაქტები რასაკვირვე**ლია გადამწყვეტი არ არის, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ როგორც ერთი ცნობილი პიროვნება ამბობდა: ვექტორი სხვა მხარესაა მიმართულიო. სხვათა შორის ამ პიროვნების უწყების ბლანკები მხოლოდ ქართულენოვანია.

ეს ისე, ლირიული გადახვევა. მართლაც რა დროს ბლანკებია, ქვეყანა თავზე გვენგრევა.

ამას ემატება ძალზე საეჭვო და უცნაური ფაქტებიც. მაგალითად ზოგიერთი არა რუსის მიერ გამაგრებული ტერიტორიების შეგნებული არ აღება (ალბათ რაღაც გაურკვეველი პოლიტიკური დივიდენდებისათვის) თორემ რას მიეწეროს ტყვარჩელის არაუღებლობა?!

რომელ სამხედრო ენციკლოპედიაში წერია, წინ რომ მიდიხარ, ზურგში მტერი უნდა დაიტოვოო? ამიტომაც ასე ნელ-ნელა ქართველები გადაგვაქციეს „საზარბაზნე ხორცად“ და ეს მარტო რუსებს არ გაუკეთებიათ ეს პირველ რიგში ამ იდეოლოგიამ გააკეთა. ამ იდეოლოგიას კი ჰქვია ერთი ოდესღაც პოპულარული სიტყვა: ინტერნაციონალიზმი.

ინტერნაციონალიზმით ომი ჯერ არ მოგებულა. არასდროს! თვით ვითომც ინტერნაციონალისტ-კომუნისტებიც კი, მეორე მსოფლიო ომის დროს გადაიქცნენ „ველიკოდერჟავულ რუს შოვინისტებათ“.

მაგრამ რა ვქნათ?

თუ კიდევ გვიან არ არის?!

ჩვენ რუსეთს ომს ვერ მოვუგებთ, ეს ასეა. მაგრამ რუსეთიც ჩვენს წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომს ვერ გამართავს. მისი ჩარევა რასაკვირველია იქნება შეზღუდული, მაგრამ ჩვენთვის ეს მცირეც დიდი მასშტაბია. თუმცა მე მჯერა რომ ამ მცირე მასშტაბის აგრესიის დროს ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ძალების მთლიანი დაძაბვის ხარჯზე, ეს ომი მაინც მოვიგოთ. მაგრამ დავუშვათ, რომ ესეც ვერ შევძელით. ყველა ვარიანტში ომის წაგება „ჯობია“ (თუ ეს ასე შეიძლება ითქვას) რუსეთთან და არა აფსუებთან.

აფსუებთან ომის წაგებით დამთავრდება საქართველოს ისტორია.

გამოსავალი კი ერთი იყო.

ყველგან უნდა დაფიქსირებულიყო, რომ საქართველოს ეომება რუსეთი.

სხვათა შორის არც ახლაა გვიან.

ყბადაღებული ფრაზა: ილაპარაკე რაც გინდა, არ არის კორექტული. რადგან სწორედ ორი რუსეთის, სწორედ რომ ყბადაღებულმა პოლიტიკამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე. ვერავითარი ერთიანი პოლიტიკა, აფხაზეთის მიმართ ჩვენთან არ განხორციელებულა, ვერც განხორციელდებოდა, რადგან ასეთი რამ არც არსებულა.

თუ დასავლეთიდან არ გვექნებოდა შესაბამისი დახმარება (არც ესაა გამორიცხული) და ჩვენი ძალების დაძაბვითაც ვერ ვძლევდით რუსეთის თუნდაც შეზღუდულ, მაგრამ აგრესიას, მაშინ ელემენტარულად უნდა გვეფიქრა იქიდან მოსახლეობის გამოყვანა და პარტიზანული ომის გაჩაღება. იურიდიული თვალსაზრისით, პერსპექტივაში ეს უფრო მომგებიანი იყო.

მაგრამ მე არ მინდა ასეთი პესიმისტური ტონალობით დავამთავრო ეს წერილი.

**მე მჯერა, რომ თუ იქნება შეკრული მთელი ქართველი ერი, თუ დავძაბეთ ყველა „კუნთი“ , თუ სწორედ ვიმოქმედეთ საერთაშორისო არენაზე, მათ შორის, გამოვიყენეთ კავკასიის ფაქტორი (და არა ისე, იმას რომ ვაკეთებთ რაც რუსეთს უნდა) ომის მოგება ჯერ კიდევ შეიძლება, მაგრამ...**

დაიდო ხელშეკრულება.

აბა ვის არ უნდა, რომ იყოს მშვიდობა?

ასეთი ადამიანი მე არ მეგულება.

მაგრამ ეს, ბატონებო, მშვიდობა არ არის!!!

განა მშვიდობაა ცხინვალში? ცხინვალში აღარ ისვრიანო! რასაკვირველია არ ისვრიან, ქართველი აღარ დარჩა და აბა ვის უნდა ესროლონ?

ამას კი ჩვენთან, „ზემო ეშელონებში!“ მშვიდობა ჰქვია!

და განა ასეთი „მშვიდობა“ არ არის ჩადებული ამ ხელშეკრულებაში?

უარესიც!

გაგრელი და გუდაუთელი ლტოლვილები რომ ვერ დაუბრუნდებიან თავიანთ ადგილებს, ამას მე მგონი ყველა მიხვდა, ვინც კი წაიკითხა ეს ხელშეკრულება. მაგრამ საინტერესოა, რომ შესრულდეს ამ ხელშეკრულების 1—7 პუნქტები და რუსეთის ჯარები, ლურჯად გადაფერადებული ჩაჩქნებით რომელზეც გაეროს ემბლემა ექნებათ გამოსახული, რომ დაიწყებენ სოხუმის და ვთქვათ გულრიფშის კონტროლირებას, აქედან გამომდინარე კი სოხუმიც და გულრიფშიც რომ დაიცლება ქართველებისაგან, მერე რაღას იტყვიან ამ ხელისუფლების „ბრძნული ნაბიჯების“ მეხოტბენი?!

რა, რუსეთმა მოგვატყუაო? თუ ილუზია გაქვთ რუსეთის ჯარები გავლენ და ვთქვათ უკრაინის შემოვლენ?

არა ბატონებო, აზრობრივი რუბიკონი ეხლაა გადასალახი!

ისე ნეტა ვცდებოდე, მაგრამ ვაი რომ მოვლენები აქეთკენ განვითარდება.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ვერ გაკეთდება რუსეთის ხელით, ანტირუსული საქმე.

ეს ებსურდია.

ერთ-ერთ ინტერვიუში, ასეც კი დაახასიათეს ეს ხელშეკრულება: ეს გვირაბის ბოლოს სინათლეაო.

ნეტავი ეს სინათლე შემხვედრი ლოკომოტივის სინათლე არ იყოს.

ეს ხელშეკრულება კი ერთმნიშვნელოვნად აფსუებთან ომის წაგებას გამოხატავს.

დივიდენდები მე მგონი უკვე საკმარისზე მეტადაა გაცემული.

როგორც სახელმწიფოს მეთაურისადმი, როგორც მთავრობისადმი, ასევე პარლამენტისადმი. ამჟამინდელი პარლამენტი ჩემი აზრით არამარტო უსახოა, არამედ უფუნქციოც. ერთ-ერთი პირობა ამ ტოტალური დეპრესიიდან რომ გამოვიდეთ, საჭიროა უახლოეს ხანში ჩატარდეს ახალი პარლამენტის არჩევნები, საქართველოში არსებული ყველა ძალის, როგორც „შევარდნაძისტების“ ისევე „ზვიადისტების“ და საერთოდ ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალის მონაწილეობით.

ყველა ჩვენგანს ხომ სამშობლო ერთი გვაქვს და მას ამჟამად თუნდაც უფლებააყრილს, დასუსტებულს, სულში ჩაფურთხებულს ჯერ კიდევ მაინც საქართველო ჰქვია.

გავუფრთხილდეთ ამ სახელს — საქართველო.

**მამუკა ჩხეიძე**

**P.S. საერთოდ კი ყველა ქართველის დევიზი უნდა იყოს — ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა, თუ საქართველო არ იარსებებს და მერწმუნეთ, ასეთი ფსიქოლოგიური განწყობით ბევრ რამეს შევძლებთ. ყოველშემთხვევაში ასეთ უმწეო მდგომარეობაში არ აღმოჩნდებით.**

**დავუბრუნოთ ქართველებს ქართველობის საამაყო გრძნობა.**

# სამაჩაბლო

დასასრული

ლებს, ოფიცერ ეგოროვის აზრით დაიკეტება პირველსავე მოთხოვნაზე ზემოდან.

ეგოროვის აზრით ქართველი მესაზღვრეები რუსეთის ტერიტორიაზე დგანან სოფელ ლარსში და მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა არ იხევენ უკან, თუმცა მათ არაეროგზის წარუდგინეს კარტოგრაფიული რუკები.

საინტერესოა, რატომ დგანან ქართველი მესაზღვრეები რუსეთის ტერიტორიაზე და არის თუ არა ის ადგილი მართლა რუსეთის ტერიტორია, რა რუკები აქვთ ისეთი რუსებს, რომ ლამის მთელი დედამიწა მათი საკუთრებაა და რატომ არ დგანან ჩვენი მესაზღვრეები ძინაგა,ბურონი, ფიაგდონის ხაზზე, როკის გვირაბის ჩასაკეტად, საქართველო-ოსეთის საზღვრის გასამაგრებლად. იქნებ იმიტომ, რომ, როგორც ეგოროვი ამბობს: „ქართველ მესაზღვრეთა პროფესიული მომზადების დონე დიდ ეჭვს იწვევს“.

## იქმნება ავიაცია

აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებამ ცხინვალში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ერთ მხრივ, იგი აფხაზურ-რუსული ალიანსის გამარჯვებად მიიჩნიეს და ალტაცებაში მოვიდნენ, მეორე მხრივ მათმა ხელისუფლებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა მოსახლეობა ქართველებთან მოსალოდნელი ომისათვის განეწყოთ, რაც ბევრს აღარ სურს.

ცხინვალის ტელევიზიით გამოსვლისას „თავდაცვის მინისტრმა“ ვინმე ჯიოევმა მოსახლეობას მზადყოფნისაკენ მოუწოდა, რადგან: „ქართველებმა აფხაზები უკვე გაძარცვეს და ახლა არის საშიშროება ჩვენ დაგვესხნენ თავზე“.

უახლოეს დღეებში ჩრდილოეთიდან მოელიან ვერტმფრენებსაც. როგორც კარგად ინფორმირებული პირი იუწყება ეკიპაჟები ადრე ცხინვალში დისლოცირებული საავიაციო პოლკის ქალაქში საცხოვრებლად დარჩენილი მფრინავებისაგან დაკომპლექტდება. ამზადებენ საკუთარ კადრებსაც. ბელორუსული წარმოშობის თადარიგის მფრინავი ვინმე მარტისიუკი გახლავთ ინსტრუქტორი.

ვნახოთ, როგორი ბედი ელის ოსურ ავიაციას, ყოველ შემთხვევაში ბელორუს მფრინავებს საქართველოში არ უმართლებთ. ამის მაგალითად სოხუმში ჩამოგდებული შიპკოც კმარა.

## рОО - ОО ЮО

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ“ შემოიღო საკუთარი სანომრე ნიშნები, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ავტომანქანებისათვის. ტრაფარეტები საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და მასზე ამოტვიფრული რუსული ასოები „ “ მიგვანიშნებს, რომ თვითმარქვია რესპუბლიკის ხელისუფლებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს იმ ქვეყნისაკენ, სადაც ეს ნომრები დაუმზადეს. დიახ, ეჭვგარეშეა, რომ ისინი რუსეთში საქარხნო წესით არის დამზადებული, ამასაც რომ თავი დავანებოთ, საინტერესოა როგორ ახერხებენ აღნიშნულ ნომრიანი მანქანები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, მათ შორის მოსკოვშიც მოძრაობას, რაც დადასტურებული ფაქტია.

## კუპონი აქ — მანეთი იქ

რესპუბლიკაში კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადებამ ვაჭრობა ცხინვალის მისადგომებთა კიდევ უფრო გააცხოველა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ რუსეთის მთავრობამ საბჭოთა მანეთს სიცოცხლე გაუგრძელა, თუმცა ხვალ ვის რა მოეპრიანება არავინ იცის და ქართველები ოსებისაგან ახალ რუსულ ფულს ითხოვენ — ხილისა და ღვინო-არაყის სანაცვლოდ. თვითონ ოსებიც ფქვილი, ბენზინისა და ცხიმის ნაცვლად ახალი რუსული ფულის გარდა ხელს არაფერს კიდებენ. ალბათ ცხინვალიც იქნება ერთ-ერთი პუნქტი, საიდანაც მოხდება რესპუბლიკაში არსებული რუსული ფულის, საერთოდ ვალუტის გაწოვა. ფასები კი კატასტროფულად იზრდება, რაც მძიმე დარტყმაა ამ რეგიონის ქართველი მოსახლეობისათვის, რომლებიც სწორედ ცხინვალიდან მარაგდებიან.

**მერაბ მაისურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზეთის «ზავის» გამო

## (ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება)

საქართველოს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელი მოაწეროს ე.წ. „ზავს" აფხაზეთში. ერთი შეხედვით, ცეცხლისა და სისხლისღვრის შეწყვეტას ყოველი მოქალაქე უნდა მიესალმოს, მაგრამ რეალურად, შექმნილი ვითარება და დოკუმენტის შინაარსი სრულიად საპირისპირო სურათს ქმნის. ეს არის რუსეთის ულტიმატუმი საქართველოს მიმართ, რომლის მიხედვითაც ცეცხლს მოწინააღმდეგე მხარე შეწყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. ცეცხლის შეწყვეტიდან 10—15 დღის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოყვანილი იქნება საქართველოს არმია.

2. საქართველოს მხარე ხელს შეუწყობს აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, ანუ არძინბასა და მისი უზენაესი საბჭოს სოხუმში დაბრუნებას.

3. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში შუამავლის როლს შეასრულებს რუსეთი, ანუ ქვეყანა, რომელიც თვითონ არის აფხაზეთის ომის წარმმართველი. შეთანხმების მაკონტროლებელ რუსულ-აფხაზურ-ქართულ ჯგუფებში ძალთა უპირატესობა აშკარად მოწინააღმდეგის მხარეს იქნება და ის გააკონტროლებს ტერიტორიას მდინარე ფსოუდან მდინარე ენგურამდე.

ამ დოკუმენტიდან არ ჩანს,რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, აფხაზთა და ქართველთა მხარეები კი თანაბარი სუბიექტებია, რომლებსაც შუამავლობს რუსეთის სახელმწიფო. საერთოდ უგულვებელყოფილია სოხუმში არსებული ხელისუფლება და აფხაზეთის ერთადერთი და კანონიერ მთავრობად აღიარებულია არძინბას დანაშაულებრივი ჯგუფი.

ამრიგად, ამ შეთანხმების მიხედვით, საქართველოს არმია აფხაზეთის ტერიტორიაზე ფაქტიურად ცხადდება უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალად, იმ დროს, როდესაც სიტყვაც არ არის ნახსენები რუსეთის ჯარების აფხაზეთიდან გაყვანაზე: ეს საკითხი გადასაწყვეტად მინდობილი აქვს რუსეთ-საქართველოს ე.წ. ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას. ამიტომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ თითქოს ხდება აფხაზეთის დემილიტარიზებულ ზონად ქცევა. უფრო მეტიც, აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის ჯარებს ენიჭებათ მშვიდობისა და წესრიგის დამყარების ფუნქცია.

ზემოაღნიშნული შეთანხმების სულისკვეთების გათვალისწინებით მასში გაეროს მონაწილეობა მხოლოდ კოსმეტიკურ ღონისძიებას წააგავს.

ამ შეთანხმების პროექტის განხილვისას პარლამენტში ნათლად გამოჩნდა, რომ კენჭისყრის შემთხვევაში საეჭვო იყო მას უმრავლესობის მხარდაჭერა მიეღო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამტკიცებენ, რომ თითქოს პარლამენტს სახელმწიფოს მეთაურისათვის დაევალებინოს საკუთარი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა ხელის მოწერის საკითხი. სინამდვილეში სახელმწიფოს მეთაურმა მართლაც აიღო სრული პასუხისმგებლობა თავის თავზე ამ დოკუმენტის ხელის მოწერისათვის, მაგრამ ამ საკითხზე პარლამენტში არავითარი კენჭისყრა არ ყოფილა.

ზემოაღნიშნული ულტიმატუმის პირობები ფაქტიურად ნიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორია გამოდის საქართველოს ხელისუფლების კონტროლიდან და საქართველო ცნობს და ეგუება ამას. მტკიცება, რომ ეს შეთანხმება უზრუნველყოფს ლტოლვილთა დაბრუნებას და მოქალაქეთა უსაფრთხოებას, მხოლოდ თავის მოტყუება და ხალხის ილუზიებით გამოკვებაა.

საქართველოს ხელმძღვანელობამ თითქმის ერთწლიანი ომი ნებით თუ უნებლიეთ მიიყვანა მარცხიან ფინალამდე. მან ვერ (ან არ) გამოიყენა დიპლომატიური შესაძლებლობები აგრესორის მხილებისათვის, ვერ (ან არ) აღკვეთა უდისციპლინობა შეიარაღებულ ძალებში, ვერ (ან არ) გადაიყვანა ქვეყანა სამხედრო რელსებზე, ვერ (ან არ) დაამყარა წესრიგი ქვეყანაში. ხდებოდა ახლადშექმნილი არმიისა და მთელი მოსახლეობის სისხლისაგან დაცლა და დემორალიზაცია მუდმივი თავდაცვითი პოლიტიკის წარმოებით, რის გამოც ვერ იქნა გამოყენებული საქართველოს მოქალაქეთა გმირული სულისკვეთება და უანგარო სამშობლოს შეწირული ჩვენი მეომრების თავდადება. მსგავს კაპიტულაციაზე ხელის მოწერა უპირველეს ყოვლისა შეურაცხყოფაა ბრძოლებში დაცემული ჩვენი მრავალი გმირის ნათელი ხსოვნისა.

ამ ულტიმატუმზე ხელმოწერის მომხრე როგორც საპარლამენტო, ასევე მის გარეთ მყოფი ჯგუფები ამტკიცებენ, ჩვენ რუსეთს ომს მაინც ვერ მოუგებთ და ვისაც კაპიტულაციაზე ხელის მოწერა არ უნდა, ის სისხლისღვრის მომხრეაო. ისმის კითხვა: 10 ან თუნდაც 5 თვის წინ ეს არ იცოდნენ მათ? იქნებ ახლა აღმოაჩინეს, რომ სწორედ რუსეთი ეწეოდა შეზღუდულ ომს ჩვენს წინააღმდეგ? რას შეწირეს ათასობით ადამიანი? ამ ჯგუფების ლოგიკა 2 ძირითად არგუმენტს ეყრდნობა:

1. სახელმწიფოს მეთაური დიდი პოლიტიკოსია, მან ყველაზე მეტი იცის და ამიტომ უსიტყვოდ გვჯერა მისი პოლიტიკის.

2. აბა რა ვქნათ? სხვა გზა არ არის, უნდა მოვაწეროთ ხელი.

პირველ არგუმენტზე ვერაფერს ვიტყვით, ნათქვამია „ხე ნაყოფით შეიცნობაო", ხოლო რაც შეეხება მეორე არგუმენტს, ამაზე უნდა ითქვას შემდეგი:

ამ მდგომარეობამდე მისვლა შედეგია იმ ადამიანთა მოქმედებისაც, რომლებიც ქვეყნის მეთაურის მიერ წარმოებული პოლიტიკის კრიტიკას შეურაცხყოფად იღებდნენ და მზად იყვნენ ერის მტრებად გამოეცხადებინათ ოპონენტები. უბედურებაა ისიც, რომ ამ ძალების დიდი ნაწილი არც პარლამენტში და არც მის გარეთ დღესაც ვერ გრძნობენ მომხდარის გამო პასუხისმგებლობას. მათ ჰგონიათ, რომ თუ სახელმწიფოს მეთაურს მიანდობენ კაპიტულაციის ხელმოწერის საკითხის გადაწყვეტას, თავად აიცილებენ ისტორიულ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ერის წინაშე.

ხელისუფლება, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში აცხადებდა, რომ სოხუმი სიამედოდაა დაცული და რამდენიმე დღის წინ ულტიმატუმსაც უყენებდა მეორე მხარეს, მოვალეა უზრუნველყოს ქალაქის შენარჩუნება და აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. და თუ ეს მართლაც შეუძლებელია, ესეც კი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ერთადერთ გამოსავლად ულტიმატუმზე ხელის მოწერა მივიჩნიოთ. დღესაც კი შეიძლება მსოფლიოს გასაგონად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადოს, რომ პატარა საქართველოს ტერიტორიას იპყრობს დიდი რუსეთი და როგორც აგრესიის მსხვერპლმა, მიმართოს მსოფლიოს დახმარებისათვის. ამას მოვითხოვდით კონფლიქტის დაწყების პირველი დღეებიდანვე. პარალელურად უნდა მოხდეს სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის დაცვის უზრუნველყოფა.

დღეს არ არის ისეთი მსოფლიო, რომ თუნდაც თავისი სურვილის წინააღმდეგ, გარკვეული რეაგირება არ მოახდინოს მსგავს აგრესიაზე. მართალია, ჩვენი გულისთვის რუსეთს ომს არავინ გამოუცხადებს, მაგრამ არსებობს ზეწოლის სხვა მექანიზმებიც.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მტკიცე პროტესტს აცხადებს ეროვნული ღირსების შემლახავ დოკუმენტზე ხელმოწერის გამო და სვამს კითხვას:

იმ ხელისუფლებას, რომელმაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანა საქართველო, აქვს კი ამის შემდეგ ქვეყნის მართვის მორალური უფლება?

25.07.93 წ.

პარლამენტში წაკითხულ იქნა

27.07.93 წ.

---

ინტერვიუ

# ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობის

ფსიქოლოგია ადამიანის ყველა მოქმედების გასაღებია. სამწუხაროდ, მეცნიერების ეს დარგი, რომელსაც უსაზღვრო სიკეთე შეუძლია მოგვიტანოს, ჩრდილშია. არადა დღეს, როდესაც ასე გვიჭირს ღირებულებათა გადაფასება, როდესაც უფიერებამ თითქმის მთლიანად დაბინდა, დაიმონა ცნობიერება, ერთი სწორი ორიენტირებისთვის ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგების როლი შეუცვლელია. სწორედ ამიტომ ვთხოვეთ ინტერვიუ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილეს, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ბატონ შოთა ნადირაშვილს.



— ბატონო შოთა, ყველა ერს აქვს თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები. ამ მხრივ რით გამოვირჩევით ქართველები?

— ეს არცთუ იოლი კითხვაა, უფრო სწორად პასუხის გაცემაა ძნელი, რადგან იგი ასე ღრმად არაა შესწავლილი. ერის ფსიქოლოგია ზოგადად ვლინდება ერებთან დამოკიდებულებაში, ოჯახში, კულტურაში, მეცნიერებაში. რომელი ერთი ვთქვა. ჩვენ, ქართველებს, გვაქვს ერთი უაღრესად თვალშისაცემი თვისება, მონოლოგისტები ვართ. ძალიან გვინდა და გვიყვარს ჩვენი საკუთარი პოზიციების გამოთქმა-გამოხატვა. ისე რომ არ ვითვალისწინებთ იმ ამოცანებს, რომლებიც სხვა პოზიციებს დააახლოვებს. ეს განგვასხვავებს იგივე რუსებისგან რომლებიც უფრო დიალოგის ხალხია, აზრთა გაცვლა-გაზიარებისას შეუძლიათ ადვილად შეიცვალონ პოზიცია. ქართველი კაცი მყარი პოზიციების გამო თავიდან ლიდერის მდგომარეობას იკავებს.

ჩვენ პოზიციის შეცვლაში ვხედავთ დამარცხებას, წაგებას, როცა შეიძლებოდა პირიქით გვეფიქრა — ჩვენ მოვიგეთ რომ შევცვალეთ თვალსაზრისი უკეთესისკენ, გავაფართოვეთ ჩვენი შეხედულებების წრე, ვიაცას მივუახლოვდით. ამ ხასიათის გამო თითქოსდა ნაკლებშემწყნარებლები უნდა ვიყოთ სხვა ერების მიმართ. მაგრამ პირიქითაა — ჩვენი ერის თვისება მყისიერად მჟღავნდება და გარკვეული დროის გავლის შემდეგ შემგუებლები ვხდებით.

— ეს აზრი ხომ არ ეწინააღმდეგება იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება უპირველეს ყოვლისა ერთმანეთთან შუღლსა და მტრობას ვგულისხმობ.

— სამწუხაროდ, ქართველთა დღევანდელ დაპირისპირებაში, მოხდა ფსიქოლოგიური კანონების უგულვებელყოფა. საზოგადოდ ადამიანთა შორის თანხმობის მიღწევა მხოლოდ ინტელექტუალურ დონემდე დაჰყავს, ეს ყალბი შეხედულებაა, ... ყველთვის არაა სწორი, რომ ჭეშმარიტება კამათში იბადება.

გაჩნდა კამათი, რომელ პოზიციებს შორის მიმდინარეობს. მკვეთრად დაპირისპირებულები, ინტელექტს თავისი პოზიციების დასაცავად იყენებენ. რაც უფრო ინტელექტუალურია ადამიანი, მით უფრო მკვეთრად უპირისპირდება ან მკვეთრად იცავს თავს. აქედან გამომდინარე, მკვეთრად დაპირისპირებული პოზიციები ერთმანეთს განიზიდავენ, ხოლო ახლო პოზიციები პირიქით — ერთმანეთს მიიზიდავენ. ამიტომ თუ თქვენ გსურთ ვინმეს დაუახლოვდეთ მისი ხლოობა უნდა მოიპოვოთ, მისი აზრები უნდა გაიზიაროთ. ცხადია, იმ შემთხვევაში თუ გსურთ, რომ მან თქვენი აზრები მიიღებინოთ.

ჩვენ ხომ მეგობრებს იმის მიხედვით ვარჩევთ, თუ რა პოზიციებზე ვდგავართ.

— ფსიქოლოგიურად რა მდგომარეობაში იყო ერი, სანამ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა დაიწყებოდა?

— ჩვენ ამ დროს შეხული ვიყავით იმ სტადიაში, როდესაც ერის ასიმილაცია ხდება. ამიტომ ეროვნულ მო[...]ობას ძალიან ბევრი დადებითი მხარეები ჰქონდა, რომ არა ის რაც შემდეგ თავს დაგვატყდა.

ერი ყალიბდება სხვა ერებთან თანასწორ ურთიერთობებში. ისევე როგორც ბავშვი, თუ ის ეზოში არ ჩაუშვი, თუ ის თანატოლებთან არ შედის კონტაქტში იგი ნაკლოვანი გაიზრდება. ჩვენ რუსეთმა ამ მხრივ შეგვზღუდა, იზოლაციაში მოგვაქცია. დღეს ჩვენ საკმაოდ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი იმისათვის, რომ სრულყოფილ ერად ჩამოვყალიბდეთ.

— ბატონო შოთა, როგორ ხედავთ ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძის ფსიქოლოგიურ პორტრეტებს?

— ძალიან ძნელი ამოცანაა. რა ვიცი, გავბედო? მოგეხსენებათ გამსახურდია ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ სამწუხაროდ მას გზადაგზა სერიოზული შეცდომები მოსდიოდა, მისი პიროვნული სიდიდე და ნებელობითი ძალები არ აღმოჩნდა შესატყვისი მის მიერვე დასახული მიზნის განსახორციელებლად, პიროვნულად მან შეიძლება ბევრი რამეც გაიღო, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ლიდერს უნდა შეეძლოს განსხვავებული აზრების შეწყნარება. მან ერთი მნიშვნელოვანი შეცდომაც დაუშვა — ქართველების დაწინაურება სხვა ერების ხარჯზე სცადა. ამით ცხადია წააგო. რადგან სხვა ერებმა ეს დაჩაგვრად აღიქვეს და ჩვენ დაგვიპირისპირდნენ.

სხვათა აზრების შემწყნარებლობაზე კიდევ ის მინდა მოგახსენოთ, რომ კარგი ხელმძღვანელი ოპოზიციას გამოიყენებს და თავისი ძირითადი იდეის ფარგლებში მოაქცევს.

სწორედ ეს განახორციელა თავის დროზე დავით აღმაშენებელმა.

ოპოზიციის ჩამოცილება გამოსავალი არაა, რადგან როგორც წყნარ წყალში კენჭის გადაგდებისას სხვადასხვა რგოლები ჩნდება, ასევე ჩნდება დროის განმავლობაში სხვა ოპოზიციონერებიც.

კარგი მართვა ნიშნავს გამონახო უახლოესი საერთო ამოცანები, რომელიც ხალხს გვერდით მდგომებს გაუადვილებს თქვენი მიზნის დანახვას.

ამ მხრივ გამსახურდია შეიძლება ითქვას სრულიად დაუდევარი იყო, არ ჰქონდა სწორი და ნათელი სტრატეგია. იგი შეიძლებოდა ყოფილიყო კარგი მრჩეველი, გარკვეული იდეების დამმუშავებელი — ლიდერისა კი რა მოგახსენოთ.

შევარდნაძე ბევრად უფრო ორგანიზებული და საქმეზე ორიენტირებულია, მაგრამ თავიდანვე გეტყვით, რომ იგი ეროვნულობას არ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას. ეს კი ჩვენისთანა ქვეყნის წარმომადგენლისათვის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. შევარდნაძის ამგვარ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმან, რომ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს ახალი მოდელის შექმნის საქმეში. შეანელა მსოფლიოს დაპირისპირება, გარკვეულ წილად მოახდინა მისი დემილიტარიზაცია. ჩამოაცილა რუსეთს ის ცუდი როლი, რომელიც ათეული წლობით ეკისრებოდა. ყოველივე ამან, მის აზროვნებაში ძალიან დიდი ადგილი დაიკავა და ხელი შეუწყო მის ინტერნაციონალურად ორიენტირებას. ჩვენს ქვეყანას კი, რომელიც თავს აღწევს ასიმილაციის პროცესს და თვითმყოფადობის გამოვლენის განვითარების, გზაზე დგას, ასეთი აზროვნება ხელს არ უწყობს.

ღრმად მცდარია ის მოსაზრება, რომ ეროვნება შემთხვევითი და დროებითია. ყოველი ერი იმის მიხედვით გამოირჩევა და გამოჩნდება, თუ რა სპეციფიკურ განსხვავებულ კულტურას შეიტანს მსოფლიოს კულტურაში. მეცნიერებაში პირიქითაა, კარგია ის რაც საერთოა, ზოგადი, პიროვნება კი ყალიბდება ეროვნულ კულტურაში და ვისაც ეს ეტაპი არ გაუვლია იგი ვერ იქცევა პიროვნებად. ავიღოთ თუნდაც მაუგლი. მსოფლიოში 15 ასეთი შემთხვევაა აღწერილი და ისინი ვერც ერთხელ ვერ იქცნენ პიროვნებებად.

შევარდნაძემ უფრო დიდ შედეგებს მიაღწია სხვადასხვა ერების შესაყარზე მოღვაწეობისას. ჩვენ ერს კი ვიმეორებ, სჭირდება დაკონსერვებული შინაგანი პოტენციის გამოვლენა და ეროვნების დონემდე აყვანა.

შევარდნაძის მოკამათეები, შეიძლება მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ სწორედ ეროვნული პოზიციით და მათ ამ შემთხვევაში, ვერ გავამტყუნებთ.

კიდევ ერთი. ფსიქოლოგიაში არსებობს ადამიანთა ურთიერთობის სამი ტიპი. ადამიანები, რომლებიც ჩვენსავით აზროვნებენ, ანუ ახლო მანძილზე დგანან, საშუალო მანძილით დაცილებულები და შორ პოზიციებზე მდგომები.

შევარდნაძე დიდოსტატია დაიახლოვოს საშუალო პოზიციებზე მდგომი ადამიანები. ისინი ვინც არც მტრად შეიძლება ჩაითვალოს და არც მოკეთედ. (ძირითადად ვგულისხმობ საზღვარგარეთულ პოლიტიკურ მოღვაწეებს). აქ ბატონ ედუარდს შეუძლია თვითონაც დათმოს და მათაც დაათმობინოს

გაგრძელება მე-5 გვ

დასასრული

და კომპრომისულ შეთანხმებებს მიაღწიონ.

ახლო პოზიციებზე მდგომი ადამიანები, შევარდნაძის გვერდით, ასიმილაციას განიცდიან. ისინი თავის პოზიციებს მასთან აიგივებენ და გარედან პირფერებადაც კი გამოიყურებიან. ისინი იმის გამო, რომ პოზიციები აქვთ დათმობილი, აღარ არიან შევარდნაძისთვის სასარგებლონი, რადგან, ახალ, განსხვავებულ აზრს ვერ სთავაზობენ. წინასწარ ვიცი, როდესაც ასეთი ადამიანი, ვთქვათ პარლამენტში გამოდის, თავს ვალდებულად თვლის, რომ შევარდნაძე დაიცვას, თუმცა ეს მას სრულიად არ სჭირდება.

შევარდნაძე ასევე ძლიერად არ გამოიყურება დაშორებულ პოზიციებზე მყოფ ადამიანებთან ურთიერთობაში იმ მიზეზით, რომ იგი უგულვებელყოფს იმ ფსიქოლოგიურ კანონს, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ამის მაგალითად გამოგვადგება, თუნდაც სამეგრელოში ჩასვლის ფაქტი, იმის მაგივრად, რომ მას ამ მხარის მოსახლეობის გაჭირვება და ტრაგედია გაეზიარებინა და ეთქვა რომ ისინი ბევრ რამეში მართლები არიან, რომ მასაც უჭირს დღეს, რადგან სახელმწიფო აპარატში ბევრი დამნაშავეა. ამით დაეახლოვებინა მათი პოზიციები. შევარდნაძემ მათი გამტყუნება და საკუთარი პოზიციების დაცვა დაიწყო. უარყოფითმა შედეგმაც არ დააყოვნა.

— ბატონო შოთა, თქვენს მოსაზრებებში ძალიან ბევრია ისეთი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა და არა მარტო მან, უნდა გაითვალისწინოს. ჰყავთ თუ არა ქვეყნის აპარატში ფსიქოლოგები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც გარკვეულ სიტუაციებში რჩევას მისცემენ?

— არა მგონია — ყოველ შემთხვევაში ვისაც მე ვიცნობ ასეთი იქ არავინაა, მე კი, თუ დამიჯერებთ, ძალიან ბევრ ფსიქოლოგს ვიცნობ. როგორც ჩვენში, ისე მის გარეთ. პირადად მე არაერთხელ შევთავაზე ჩვენს ლიდერებს სახელმწიფოს მართვაში გამოეყენებინათ ფსიქოლოგები, მაგრამ არც კომუნისტური წყობილების დროს და არც შემდეგ ამ აზრით არავინ დაინტერესებულა. არადა ფსიქოლოგები აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში. მითუმეტეს დღეს, როდესაც ქვეყანა ასეთ მძიმე მდგომარეობაშია.

— ბატონო შოთა, დღეს ჩვენი მთელი ყურადღება აფხაზეთში ომის შეწყვეტის შეთანხმებაზეა მიპყრობილი. ეჭვით ვუყურებთ, როგორ განვითარდება მოვლენები, როდის ჩამოიხსნის რუსეთი კეთილი სამარიტის ნიღაბს. თქვენის აზრით ყველაფერი ვილონეთ თუ არა იმისათვის, რომ დამოუკიდებლობისა და საქართველოს მთლიანობის უფრო დიდი გარანტიები მოგვეპოვებინა და იმისაგანაც რომ რუსეთის ძალად მაცხონე მეურვეობისგან თავი დაგვეხსნა

— ადამიანის შეცვლა, მითუმეტეს ერისა, ასე მოკლე დროში არ ხდება. რუსი ერი ასე უცბათ არ განთავისუფლდება ძველი სტერეოტიპებისგან. ამიტომ, მასთან ურთიერთობა ძალიან დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. რუსეთთან კავშირს ნულიდან რომ ვიწყებდეთ, ისევე როგორც ვთქვათ ავსტრიასთან, ან, თუნდაც, ნორვეგიასთან, პრობლემებიც ნაკლები გვექნებოდა, მაგრამ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს უჭირს ბატონისებური ჩვევების თანასწორუფლებიანზე შეცვლა. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მთავრობა, ამ ქვეყანასთან ურთიერთობის უაღრესად ორჭოფული და საეჭვო პოზიცია ირჩია. მან რუსეთი გაჰყო ორად — ერთი რომელიც კარგია დემოკრატიული, მეორე — ცუდი — აგრესიული. ეს გაყოფა ფსიქოლოგიურ კანონს ემორჩილება — არ გავამწვავოთ ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ ამ გაორებული პოზიციის გამო, ჩვენ კარგ რუსეთთან კარგად ვართ იმ დროს, როცა ცუდი რუსეთი ახლიდან გვიპყრობს და გვხოცავს.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შესძლოს, თავისი პოზიცია ნათლად გამოხატოს, რადგან, თუ ზემოთ აღნიშნულ ლოგიკას მივყვებით, მაშინ ორი საძჩოც უნდა გავხსნათ.

— ბატონო შოთა, ეს გაორებული, ბუნდოვანი პოზიცია, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ დრო მოვიგოთ, რაც საბოლოო ჯამში ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს.

— ვფიქრობ, ეს მთლად ასე არაა, სახელმწიფოს მეთაურს პიროვნულად უჭირს რუსეთის მიმართ მკვეთრი პოლიტიკის გატარება, რადგან ამისმეტს ის დამსახურება, რაც ამ ქვეყანას გაუწია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ვარაუდი მართალია მკვეთრად უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი არ იქნება მისი თანამშრომელი. საქართველოსთვის უკეთესი იქნება, თუ ამ ქვეყანასთან საქმის მოგვარება სხვა პიროვნებას დაევალება.

— ბატონო შოთა, დღეს საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტკივილი ისაა, რომ იგი შუაზეა გახლეჩილი. რა ფსიქოლოგიური მექანიზმით უნდა ავხსნათ ის, რომ გამსახურდიას მხარეს, თუმცა ნაკლებად, მაგრამ მაინც არიან მოაზროვნე ადამიანები: პროფესორები, მწერლები, თუ ხელოვნების დარგის მუშაკები?

საზოგადოდ გამსახურდიას მომხრეებს არასწორი პოზიცია უჭირავთ. ხშირად მიფიქრია კიდევ რა უნდა გაეკეთოს მან ისეთი ცუდი, რომ ისინი მიხვდნენ და ზურგი შეაქციონ. რაც შეეხება მექანიზმს, მე უკვე ვილაპარაკე, რომ დაშორებული პოზიციების დასაახლოვებლად, მარტო ინტელექტი უძლურია. თუ ამ საკითხს უფრო გავშლით. პიროვნებისადმი თაყვანისცემის ფანატიზმის არაერთი მაგალითის დასახელება შეგვიძლია, თუნდაც სტალინი რად ღირს. არის მოვლენები, რომლებიც ჩვენ ქცევისკენ გვიბიძგებენ. ვთქვათ მშიერს საჭმელი იზიდავს, გაყინულს ცეცხლი. ასეთივე ბუნებისაა პოზიციები. ზვიადიზმი, სტალინიზმი, ბევრ ადამიანში ბიოლოგიურ მოთხოვნილებას დაემსგავსა. იგი გონებას ნაკლებად ემორჩილება. მათი პოზიცია მავანს საკუთართანა აქვს გაიგივებული. მისი შეცვლა, როგორც უკვე ვთქვი, კამათით, ისევე ძნელია, როგორც ის რომ ლოთსა თუ ნარკომანს აზრი შეაცვლევინო. მსგავსი ფანატიზმი, სხვათაშორის, რელიგიაშიც გვხვდება. გავიხსენოთ რამდენი ვნება მოუტანა კაცობრიობას თუნდაც ინკვიზიციამ.

— ბატონო შოთა, აფხაზეთში ომის დამთავრების შეთანხმებას ბევრი ჩვენი პოლიტიკოსი მკვეთრად უარყოფითად შეხვდა. მათ შორის როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების მომხრენი. ზოგმა მას კაპიტულანტურიც კი უწოდა. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

ჩვენში დღესაც ფრიად პოპულარულია მშვიდობის სადღეგრძელო. და ამას ვამბობდით იმ დროს, როდესაც დამონებული ვიყავით. ამით იმის თქმა მინდა, რომ მშვიდობა ყოველთვის როდი სჯობია ომს. როდესაც გაურკვეველია, დამარცხდები თუ არა და ამ შემთხვევაში დანებდები, ესეც მშვიდობა, მაგრამ რა ფასად?

ჩვენ სექტემბერში დავდეთ ხელშეკრულება. წავაგეთ თუ არა ამ გარიგებით. მე ვფიქრობ წავაგეთ. ასეთივე ფუჭი გამოდგა მომდევნო ხელშეკრულებაც, და რა გარანტია გვაქვს, რომ რუსეთი კვლავ არ გვიმუხთლებს.

ჩვენ ძალიან შევცდით ერთ საკითხშიც, როდესაც რუსეთი და აფხაზეთი გავაერთიანეთ. ჩვენდა სავალალოდ ვერ მოვახერხეთ ერთ— ერთთან დაგვედო ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში თუ ვთქვათ რუსი სტრატეგიულ ბაზების განლაგებას მოგვთხოვდა, სანაცვლოდ აფხაზეთის მფარველობაზე მაინც აეღო ხელი. ასევე უნდა გვეზრუნა, კავშირი დაგვემყარებინა აფხაზეთის ჯანსაღ ძალებთან, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ რუსეთთან ალიანსს.

ჩვენ რუსეთთან თანამშრომლობის შანსი წინა ხელისუფლების დროს გავუშვით, როდესაც ზურგი შევაქციეთ და ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა დავაპირეთ.

— ბატონ ნოდარ ნათაძეს დიდი იმედი აქვს, რომ რუსეთს აღარ მისცემენ საქართველოს ხელახლად დაპყრობის საშუალებას. მოგეხსენებათ დღეს გაერომ აფხაზეთში თავისი დამკვირვებლები მოავლინა.

— გაეროს ფართო მასშტაბიან ჩარევამდე, ძალიან ბევრ რამეს დავკარგავთ. აფხაზეთი ქართველებისგან დაიცლება (მოგეხსენებათ ის პროცესი დღესაც გრძელდება) გაერო კი იმ მდგომარეობიდან დაიწყებს სტაბილიზაციას, რაც დახვდება, ეს კი ჩვენთვის უაღრესად წამგებიანი იქნება.

აი, სწორედ ამას ვგულისხმობდი, როდესაც მშვიდობისა და ომის პრობლემებს განვიხილავდი.

ესაუბრა
ჯემალ კასრაძე

## ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობის

### მკითხველთა წერილებიდან

# მომეცით სიკვდილის უფლება ჩემი საქართველოსთვის...

გამარჯობათ ბატონო ნოდარ!

არ ვიცი გახსოვართ თუ არა, ჩვენ ერთხელ თუ არ ვცდები ჩემი ყმაწვილკაცობის მეგობარმა ირაკლი ბაზაძემ გაგვაცნპო ერთმანეთი. ამჟამად ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, ჩემი თხოვნა თქვენდამი ამჯერად არის თხოვნა ერთი ქართველისა, რათა თქვენი გაზეთის საშუალებით მივაწვდინო ხმა სათანადო ორგანოებს, ვეცდები ვიყო ლაკონიური, რათა არ გადაგტვირთოთ არც თქვენ და არც თქვენი გაზეთი. 16 წლის ასაკში სკოლა დავამთავრე ხუთებზე, იმავე წელს გავხდი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. 1973 წელს საქმოსნების წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციის მსხვერპლი გავხდი. ქ.ჭიათურის სახ. სასამართლომ 24000 მანეთის დანაკლისისთვის, 23 წლის, ცოლ-შვილიანი, სტუდენტი, საამქროს უფროსი 4 წლით შრ.გასწორების კოლონიაში გამგზავნა გამოსასწორებლად. შემდეგ რა იყო, ან რა იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლება რომ გაგრძელებულიყო ეხლა აღარ მოვყვები. 90.91 წწ გამსახურდიას მოსვლის წინ და მისი მოსვლის პერიოდში ბევრი ჩემზე დაბალი რანგის ხალხი იყო მოვლენების შუა გულში. მე კი ვერ ვიკისრე. მიუხედავად იმისა, წინადადებები საკმაოდ იყო. ვერ წარვდექი მაშინ ჩემი სამი ნასამართლობით ხალხის წინაშე და ვერ ვიკისრე მათი ბედის გადაწყვეტა, თუნდაც უმნიშვნელო ნაწილში, ამიტომ გარიდება ვარჩიე და გადავედი რუსეთში, შემდეგ უკრაინაში. სადაც ეხლა სასჯელს ვიხდი ერთ-ერთ კოლონიაში. ბატონი ე. შევარდნაძის ჩამოსვლას აქ შევხვდი და ამიტომ ვერ შევძელი ჩავმდგარიყავი მის თანამოაზრეთა, თანამებრძოლთა რიგებში, თუნდაც ჯარისკაცად ან მავმუშად რუსთაველის მშენებლობაზე. თავის დროზე ქართველმა ჩინოვნიკებმა ძალით ჩამომაგდეს იმ მატარებლიდან, რომელშიც თქვენ იჯექით, ამიტომ ჩემი ნიჭი და შესაძლებლობა ვერც მე მოვახმარე ჩემს საქართველოს და არც ჩემმა მაშინდელმა საქართველომ ისურვა ეს. ეხლა კი ვისაც ხელი მიგიწვდებათ გთხოვთ დამეხმაროთ, მომცეთ იმის საშუალება ერთი 18—19 წლის ქართველი შეცვალოთ ფრონტზე და საერთოდ სიკვდილის უფლება მაინც მომეცით ჩემი საქართველოსთვის. ჩვენი შვილების სანაცვლოდ სიცოცხლის მიცემის უფლებას მაინც ნუ წამართმევთ რა მოხდება?!

პატივისცემით
თეიმურაზ მახათაძე

# ძარცვა სრულიად ახალი მეთოდით

ერთი მეგობარი მყავს ავთო. ამას წინათ ბაზარში შემხვდა „ექსკურსიაზე"...

— იცი აჩიკოს, ჩემს ცოლის ძმას, რა შეემთხვაო, — თან თავს ძლივს იკავებდა — ფხუკუნებდა.

— რა იყო მეთქი.

— გუშინ კუპონები გადაცვალა რუსულ ფულზე, შემდეგ ჩვენთან ამოვიდა სახლში, ჩანთა აიღო — აბაშაში — სახლში უნდა წავიდეო. ნახევარი საათიც არ იყო გასული, დაძმარებულმა შემოგვიღო კარები. დანა კბილს არ უხსნიდა.

— რა იყო, მატარებელი არ გავიდა? ეჭვით შეეკითხა ნათელა.

— თუ და ხარ, ცივი წყალი შემომიტანეო, — ძლივს ამოიღო ხმა აჩიკომ.

— აღარ იტყვი, რა მოხდა? — ვცდილობდი გამომეცნო მისი დამწუხრების მიზეზი.

— რაღა რა იყო, ის ფული, 75 ათასი მანეთი, მთლიანად წამართვესო.

— რას ამბობ, ამხელა კაცს, დღისით მზისით, ვინ გაგიბედა-მეთქი,

— ისე გავვოცდი, თითქოს ამ არეულ ქვეყანაში რამე უნდა გამკვირვებოდა.

— შენ ისინი უნდა გენახა რამხელები იყვნენო — თავი იმართლა აჩიკომ და გააგრძელა, — სადგურს რომ მივუახლოვდი, ჩემს ახლოს მანქანა გაჩერდა და სამი ჯეელი გადმოვიდა. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც უფრო წარმოსადეგი იყო ჩემსკენ ხელებგაშლილი წამოვიდა.

— ოო, ამას ვის ვხედავო, და ხელები ისე შემომხვია, ლამის სული შემიგუბდა. სანამ მე უხერხული მდგომარეობიდან გამოსასვლელად, თუ ვინ უნდა ყოფილიყო, მეხსიერებას ვატანდი ძალას, ამ ორმა ჯიბეები დამიჩხრიკა და მთელი ფული ამომაცალა. აზრზე მაშინ მოვედი, როდესაც სწრაფად მოსხლეტილმა მანქანამ შემომაბოლაო , — დაამთავრა აჩიკოს საოცარი თავგადასავალი ავთომ და ბაზარში გამოფენილი „ექსპონატების" დათვალიერება გააგრძელა.

* * *

ასე რომ, პატივცემულო მკითხველო, თუ ვინმე უცნობი თქვენსკენ ხელებგაშლილი წამოვა, დროს ნუ დაკარგავთ მისი გახსენებით, უკეთესი იქნება თუ ამ შემთხვევაში საკუთარ ფეხებს მოიგონებთ და რაც შეიძლება სწრაფად გაზრდით მანძილს თქვენსა და მას შორის.

ჯემალ კასრაძე



# ისლამის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ეტაპზე და საქართველო

აბესალომ ასლანიძე

ისლამი ერთ-ერთი დიდი მსოფლიო რელიგიაა, რომლის მიმდევართა რიცხვმა მილიარდს გადააჭარბა. დღეს საქართველო ფაქტობრივად მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაშია მოქცეული და როდესაც ამ ქვეყნებთან ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუვლით ისლამის ფაქტორს. ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს ადამიანური ცხოვრების რა სფეროზეა საუბარი (კულტურა, პოლიტიკა ეკონომიკა...).

კომუნისტური წყობილების დროს, ისევე როგორც სხვა რელიგიებისა, ისლამის შესწავლაც არაობიექტურად მიმდინარეობდა ეს ტენდენცია აირეკლა ქართველ მეცნიერთა შრომებშიც. ახლა კი, როცა აუცილებელი შეიქნა ისლამის შესწავლა, აღმოჩნდა, რომ ამ რელიგიაზე ჩვენ ძალიან ცოტა გვცოდნია.

საქართველოს ტერიტორიაზე, მუსლიმანობის მიმდევრები ყველაზე კომპაქტურად აჭარაში ცხოვრობენ. ცნობილია ისიც, რომ ბოლო ხანებში ისლამი როგორც სხვაგან, აჭარაშიც აღმავლობას განიცდის. აჭარაში ისლამის გააქტიურების საფუძველზე მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ, გასულ წელს აჭარის უზენაესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას ილაპარაკა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ - კორესპონდენტმა ვახტანგ შამილაძემ. ამ საკითხებს არაერთხელ მწვავედ შეეხო ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ მახარაძე. სამწუხაროდ ამ გამოსვლებს სათანადო გამოხმაურება არ მოჰყოლია.

ქართველები რომ რელიგიური შემწყნარებლობით გამოირჩევიან ეს ფაქტი ისტორიულადაა ცნობილი. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ხშირად ეს რელიგიური შემწყნარებლობა ქართველებს ძვირად დაჯდომიათ. როგორც კი რელიგია პოლიტიკურ ძალად იქცეოდა, სხვადასხვა სარწმუნოებით შეიარაღებული ქართველი არც თუ იშვიათად ქართველის წინააღმდეგ აღმართავდა იარაღს.

ხშირად დასმულა კითხვა: შეიძლება თუ არა მუსლიმანი ქართველი იყოს სრულყოფილი ქართველი? რატომაც არ შეიძლება! მაგრამ ყველა როდი უკვირდება იმას თუ საით უნდა იყოს მიმართული მუსლიმანი ქართველის ცნობიერება, რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე რწმენა და ეროვნულობის განცდა. საქმე ისაა, რომ დღეს აჭარაში მოხუც მუსლიმანთა შორის ეროვნება და რელიგია გაიგივებულია. ბევრ მკვლევარსა და მეცნიერს კითხვაზე თუ რა ეროვნებისაა აჭარაში მცხოვრები მოხუცისაგან პასუხად მიუღია — მუსლიმანიო. ეროვნების ასეთ გაგებას მთლიანად გაუნათლებლობას ვერ დავაბრალებთ. ასეთი პასუხის საიდუმლოება თვით ისლამში იმალება და მსგავსი პასუხის გაცემა შეუძლიათ თურქეთში, ირანში, საუდის არაბეთში თუ სხვა მუსლიმანურ ქვეყანაში,. ისლამის აღმოცენებიდან მუსლიმანობის ნორმების მიხედვით ქვეყნების დაყოფის კლასიფიკაციის საფუძვლად უდევს მსოფლიოს დაყოფა ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფებად. ერთ-ერთი მათგანია დარ-ალ-ისლამი (ისლამის სამყარო). ამ ჯგუფში შედიან ქვეყნები ისლამური მმართველობის ფორმით. ეს ტერიტორია ითვლება ნებისმიერი მუსლიმანის სამშობლოდ, მიუხედავად მისი ეროვნებისა თუ დაბადების ადგილისა. ერთ-ერთი არახელისუფლებრივი ორგანიზაცია „ძმები მუსლიმანების" ლიდერის ს.კუთბას სიტყვებით „მუსლიმანს არ გააჩნია ქვეყანა დედამიწის იმ ნაწილის გარდა, სადაც დამკვიდრებულია შარიათი... მუსლიმანს არ გააჩნია ეროვნება... მუსლიმანს არ ჰყავს ნათესავები, გარდა იმათი, რომლებიც მასთან ერთად იყოფენ ალაჰისადმი რწმენას".

მსოფლიოს ყველა ქვეყნებში მცხოვრები მუსლიმანები ერთიანდებიან მუსლიმანურ თემში (უმმა) და ყველა ვალდებულია დაემორჩილოს თემში არსებულ კანონებს, რომლებიც ეყრდნობა ყურანსა და სუნას. უმმა — ესაა ერთმორწმუნეთა თემი, რომლებიც არიან ისლამის მიმდევრები, ლოცულობენ მექას („ყიბლე") მიმართულებით, სადაც ქააბის ტაძარია, ემორჩილებიან შარიათს, სურთ იცხოვრონ დარ-ალ-ისლამში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისლამში საერთოდ ნაციონალური განსხვავებულობას არ ცნობს, რადგანაც სახელმწიფო ისლამში არის არა ტერიტორიული, არამედ იდეოლოგიური კონცეფცია. ინგლისელი მეცნიერი პ.ვატიოკიტოსი წერს, რომ „ადრე არსებული რელიგიებისაგან განსხვავებით, ისლამი არ კმაყოფილდება ახალი სარწმუნოების გამოცხადებით. იგი აგრძელებს მის განვითარებას სახელმწიფოს შექმნამდე, რომელიც განამტკიცებს ახალ ეროვნებას — ეროვნებას მორწმუნეებისა. ამ ეროვნებისა და მისი ნაციონალიზმის ბაზისი ისლამია".

გამომდინარე აქედან ეროვნებაზე ლაპარაკი მუსლიმანებს შორის მიუღებლად ითვლება. სწორედ ასეთ იდეოლოგიას ატარებდნენ ისლამის გამავრცელებლები მის აღმოცენებიდან დღემდე. რა თქმა უნდა საქართველო ამ ჯგუფში არ შედის და უფრო ექვემდებარება მეორე ჯგუფს. „დარ-ალ-ხარბი" — ომის სამყარო. ამ ჯგუფის ერთ ტიპში შედიან ქვეყნები, სადაც მმართველობა მუსლიმანთა ხელში არაა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მუსლიმანური ქვეყნები დიდი ხანია აღარ ხელმძღვანელობენ ისლამის პრინციპებით, მსოფლიოს ასე დაყოფის მეთოდებით და მკაცრად იცავენ საერთოდ მიღებულ საერთაშორისო ნორმებს არამუსლიმანურ ქვეყნებთან ურთიერთობებში, მაგრამ მიუხედავად ამისა ამერიკელ მეცნიერთა აზრით ისლამი მათთვის მაინც რჩება „ფაქტორად, რომელიც ანსხვავებს მუსლიმანურ სამყაროს მისთვის სხვა და უფრო ხშირად მის მიმართ მტრულად განწყობილი არამუსლიმანური სამყაროსაგან".

აქ გავაკეთოთ პატარა ექსკურსი ისტორიაში.

სამი საუკუნის შემდეგ აჭარა 1877—78 წწ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა თურქეთის ბატონობისაგან. თურქეთი სწორედ ისეთ პოლიტიკას ატარებდა დაპყრობილ ტერიტორიაზე და მათ შორის აჭარაში, რომ ეროვნება მეორეხარისხოვანი ყოფილიყო, მთავარი იყო რწმენა, თუ რომელ სარწმუნოებას მისდევდა მოსახლეობა. დაბეგვრის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ძირითადად რწმენაზე იყო აგებული, აჭარის მოსახლეობას იძულებულს ხდიდა ფორმალურად მაინც მიეღო ისლამი, რათა გადარჩენოდა გადასახადების უმძიმეს შედეგებს. აჭარაში მხოლოდ ამ გზით იქნა დამკვიდრებული ისლამი, რომელიც საუკუნეების მანძილზე თანდათანობით ცვლიდა ქრისტიანულ რწმენას. ისიც ცნობილია, რომ მოსახლეობას, რათა შეენარჩუნებინა ქართული ენა, ქრისტიანობა, სამოვრებს, სოფლებს არქმევდა ქრისტიანებთან დაკავშირებულ ტოპონიმს და ა.შ. აჭარაში, თუმცა აქ თითქმის 300 წელს ოსმალები ბატონობდნენ და სასტიკად დევნიდნენ ამ რელიგიას, მაინც მრავლადაა ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები. ქრისტიანობის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ თურქებმა თავის დროზე მხოლოდ რამდენიმე ჯამეს გახსნა მოახერხეს.

თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ცარიზმი უკვე თავის პოლიტიკას ატარებდა აჭარაში. რუსეთ-თურქეთის მუდმივი დაპირისპირების პირობებში რა თქმა უნდა რუსეთი ყველანაირად ხელს უშლიდა თურქეთის გავლენის გავრცელებას აჭარაში, ხოლო მეორე მხრით ყველანაირად ხელს უწყობდა (საერთოდ ამიერკავკასიაში რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე) ისლამის აღმავლობას აჭარაში. ის რაც ვერ შეძლეს თურქებმა, შეძლეს რუსებმა, თითქმის ყველა სოფელში გაიხსნა ჯამეები. გარდა აღნიშნულისა რუსეთი ისლამის განმტკიცებით აჭარაში იმიტომ იყო დაინტერესებული, რომ 1. ამით საბოლოოდ გაეთიშა ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველები ერთმანეთისაგან, ამ მიზნის მისაღწევად შეგნებულად აიგივებდნენ მუსლიმანის ცნებას თურქის ცნებასთან და ამასთან ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ქართველ მუსლიმანებში არ გაღვიძებულიყო ეროვნული თვითშეგნება. 2. მოეწყოთ საქართველოს ამ ნაწილის შავი ზღვისპირეთის კოლონიზაცია, მომავალში მუსლიმანური მოსახლეობა აეძულებინათ, აყრილიყვნენ საკუთარი ტერიტორიიდან და გადასახლებულიყვნენ თურქეთში, მათი ადგილი დაეკავებინათ ბერძნებს, სომხებს, თვითონ რუსებსაც. ბერძნები და სომხები რუსეთს თავიანთ ერთგულ დასაყრდენად მიაჩნდათ კავკასიაში (ამ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ: შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1973წ.).

საუკუნეების მანძილზე აჭარელი კაცის რელიგიურ გრძნობებზე ასეთმა „თამაშმა" თავისი გააკეთა. აქაური კაცის ცნობიერებაში ეროვნება რელიგიასთან შედარებით მეორეხარისხოვან მოვლენად იქცა და ხშირ შემთხვევაში რელიგია ეროვნებას უკარგავდა კიდეც. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, რამდენადაც აჭარა მოწყვეტილი დარჩა მუსლიმანურ სამყაროს, აქ ისლამი „დაკონსერვებული" სახით შემოგვრჩა, იმ სახით როგორიც თურქებმა გაავრცელეს. ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ დღევანდელი დაპირისპირების პირობებში შიიტებსა და სუნიტებს შორის (ირანი-ერაყი, ირანი-საუდის არაბეთი და სხვ.), აჭარის ბევრ მუსლიმანს საერთოდ არ სმენია ისლამის ამ ორი მიმდინარეობის არსებობის შესახებ.

აჭარელი კაცის ცნობიერების შემობრუნებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დიმიტრი ბაქრაძესა და იმ დროს სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს, აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მაგრამ XX ს. 20-იან წლებიდან დაწყებული ისლამისადმი ზედმეტად არაობიექტურმა მიდგომამ, უკუ რეაქცია გამოიწვია. ისლამმა ჯამეებიდან ოჯახებში „გადაინაცვლა უფრო ფარული გახდა. ამას ხელს უწყობდა სკოლების ნელი ტემპით გახსნაც. გაუნათლებელ მოსახლეობაში ზოგიერთი აქ მოსული პედაგოგის მხრიდან ზედმეტი ლანძღვა-კრიტიკამ მუსლიმანური რწმენისა, აქაურ მოსახლეობაში კომუნიზმი-ქართველიურწმუნოება ერთმანეთთან გააიგივა. უნდა აღინიშნოს, რომ ისლამისა და საერთოდ რელიგიის კრიტიკა ცენტრალიზებული წესით ხდებოდა, შექმნილი იყო სხვადასხვა ანტირელიგიური გამოცემები, ანტირელიგიური საზოგადოებები და სხვა. მაგალითად, ისტორიის ბორბალი ისე დატრიალდა, რომ აჭარაში ცხოვრობენ ქართველი მუსლიმანები თავისი რელიგიური პრობლემებით, ინტერესებით და დღემდე ამ პრობლემებზე ბოლომდე და სრულყოფილად არავის უფიქრია. აქ მხედველობაში ვერ მივიღებთ გადაჭარბებულ და მუსლიმანი ქართველების ინტერესების უგულველყოფით მიღებულ დადგენილებებს, როგორც აჭარის ასევე საქართველოს მთავრობების მიერ ისლამთან ბრძოლის შესახებ, რომლებიც პრაქტიკაში უფრო მუსლიმანი კაცის სინდისის შეურაცხყოფით ხორციელდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს რამდენიმე მეცნიერული ნაშრომიც, სადაც მხოლოდ ისლამის უარყოფის მხარეებზეა ლაპარაკი, რაც უფრო აღიზიანებდა მუსლიმან ქართველს და მასზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა. ყოველივე ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ ხელისუფლებასა და მორწმუნეებს შორის წარმოიშვა ვაკუუმი.

თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ისლამის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებამ, ამის დანახვა შეიძლება თუ გადავხედავთ შუა და ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნების პოლიტიკურ ისტორიას. ამ რეგიონის ბევრ ქვეყნებში ისლამის პოლიტიზირებამ იმ დონეს მიაღწია, რომ პოლიტიკა კი არ იყენებს ისლამს თავისი მიზნების განსახორციელებლად, არამედ ხდება პირიქით, რელიგიამ ჩააყენა პოლიტიკა თავის სამსახურში (საუდის არაბეთი, ირანი, პაკისტანი და სხვ.). ამ გზით ხომ არ წავა აჭარაც ისლამის რეანიმაციის შემთხვევაში?

იმედია არა. მაგრამ ეს მაშინ, თუკი ჩვენს შემთხვევაში ისლამის ფაქტორი პოლიტიკური მიზნებით არ იქნება გამოყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პროცესი შეიძლება უმართავი გახდეს, რაც შექმნის ერის არა მხოლოდ სულიერი, არამედ ფიზიკური გახლეჩის საშიშროებასაც.

მაჰმადიანი ქართველის ერთერთი გამაღიზიანებელ ფაქტორად ჩვენი აზრით ისიც იქცა, რომ ხშირად ქართველი ქრისტიანთანაა გაიგივებული, ხოლო ამ დროს მუსლიმანი ქართველი „გვერდზეა დარჩენილი". ამას ემატება ისიც, რომ ქრისტიანული აჭარის ისტორია ხალხმა ცუდად იცის ან საერთოდ არ იცის, ის სათანადოდ შესწავლილიც არაა.

ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ კომუნისტური წყობილების დროს საერთოდ რელიგიის და კერძოდ ისლამის წინააღმდეგ ბრძოლას არ მოსდევდა სხვა ეროვნული და ამ კუთხის ინტერესებიდან გამომდინარე იდეოლოგია. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოსახლეობაში ჩატარებული იქნას შესაბამისი მუშაობა. ადგილობრივი მოსახლეობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, მორწმუნე მუსლიმანთა სინდისის თავისუფლება შენარჩუნებული იქნება. ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს სახელმწიფო დონეზე ყველა ნიუანსის გათვალისწინებით. უახლეს მომავალში კი შემუშავებული უნდა იქნას მუსლიმან ქართველებთან და საერთოდ მაჰმადიანობასთან ურთიერთობის სახელმწიფო კონცეფცია და ყველა მტკივნეული საკითხი ამგვარი კონცეფციის მოშველიებით უნდა გადაწყდეს. ეს აუცილებელია თუნდაც იმისათვის, რომ საქართველოზე, როგორც მუსლიმანური ქვეყნებით გარემოცულ ქვეყნის მომავალზე სხვაზე ნაკლებ შეიძლება არ იმოქმედოს მუსლიმანობის ფაქტორმა...

სხვა მუსლიმანურ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს განსაკუთრებული მიმართება აქვს მის უშუალო მეზობელ თურქეთთან.

დღეს ჩვენ გვჭირდება თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ეკონომიკაში, პოლიტიკაში და სხვა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რელიგიური გავლენის საკითხში თურქეთი პირველობას აჭარაში არავის დაუთმობს და ყველაფერს გააკეთებს (უფრო სწორად გარკვეული წრეები ამას უკვე აკეთებენ, იმისათვის, რათა აჭარელ მუსლიმანებს შორის დაამკვიდროს თავისი მსოფლმხედველობა. ამის არ დანახვა გულუბრყვილობა იქნებოდა. აჭარელი კაცის მსოფლმხედველობა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ყალიბდებოდეს და ამაში ნუ გვიწყენენ მეზობელი თურქებიც, რამეთუ ჩვენ წინააღმდეგი ვართ არა ისლამის როგორც რელიგიის, არამედ თურქულ მსოფლმხედველობის გავრცელებისა აჭარაში. ამით კი ყოველგარი საფუძველი უნდა გამოეცალოს ეჭვს, რომ აჭარის ორიენტაცია აზიური სამყაროსა და კულტურისაკენ წარიმართება, მაშინ როცა, სრულიად საქართველოს ორინტაცია დასავლურია.

ისლამმა, როგორც რელიგიურ-იდოლოგიურმა სისტემამ, თავისი მარეგულირებელი და მაინტეგრირებელი შესაძლებლობით 14 საუკუნის განმავლობაში მოახერხა მუსლიმანური საზოგადოების სულიერი ერთიანობის შენარჩუნება, რამდენადაც პირობითად არ მოგვეჩვენოს ეს ტერმინი და რამდენადაც წინააღმდეგობრივი არ იყოს ერთიანობა, ამიტომაც საჭიროა დაიწყოს მუშაობა, ისლამის შესწავლა სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა მიმართულებით და ბუნებრივია ისლამის კომპლექსური შესწავლის საქმეში ვერავითარ სამსახურს ვერ გაგვიწევს ძველი ათეისტური მიდგომა რელიგიისადმი.

იმისათვის, რომ გაირკვეს ისლამის რეალური სახე აჭარაში, მისი ზემოქმედება აქაური კაცის ცნობიერება-ფსიქიკაზე, თუ რა როლს ასრულებს ისლამი მუსლიმანი ქართველის ყოველდღიურ ცხოვრებაში, საჭიროა გაიმართოს საჯარო დისკუსიები, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც რელიგიის მეცნიერ-სპეციალისტებმა, ისე მუსლიმანური სასულიერო წრის წარმომადგენლებმა. სასურველი იქნება, რომ ზემოაღნიშნული კონცეფცია სწორედ ასეთი დისკუსიების გათვალისწინების საფუძველზე ჩამოყალიბდეს.

ყოველივე ამის გაკეთების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს თუნდაც იუგოსლავიაში მიმდინარე პროცესები, სადაც, ერთმანეთის პირისპირ იარაღით ხელში დგანან სერბები, ხორვატები და მუსლიმანები. სერბები და ხორვატები გარკვეულ ერებს წარმოადგენენ, მაგრამ ვინ არიან მუსლიმანები და რა პოლიტიკური მიზნებისათვის იბრძვიან ისინი? რა ეროვნების ხალხი არიან ისინი? ვინ აფინანსებს მათ შეიარაღებულ ბრძოლას? რა იმედით ჩავიდა არძინბა თურქეთში აფხაზეთის მოვლენების დაწყების წინ? რომელ ანკესზე არიან წამოგებული ის დაქირავებული ტერორისტები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოვიდნენ აფხაზეთში და იბრძვიან ქართველთა წინააღმდეგ? საერთოდ რა ორგანიზაციაა კავკასიის ხალხთა კონფედერაცია? კითხვები უფრო მეტია ვიდრე პასუხები და მოდით ამაზე მეცნიერებმა, ხელისუფლებამ, უბრალო მორწმუნეებმა თუ პოლიტიკოსებმა ერთად ვიფიქროთ.



# ბერიას დღიურები

## ალან უილიამსი

ეს დღიურები ეკუთვნის თუ არა ბერიას კალამს, არსებითი მნიშვნელობა შეიძლება არც ქონდეს, რადგან მწერლის მოვალეობაა აღწეროს არა ის, რაც სინამდვილეში მოხდა, არამედ რაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ალან უილიამსის „ბერიას დღიურებში“ კი არაფერი წერია ისეთი, რისი ჩადენაც ბერიასა და მის წრეს არ შეეძლოთ. რაც მათი ხელიდან არ გამოვიდოდა.. რაც არ შეიძლებოდა მომხდარიყო..

ჩვენს გადაწყვეტილებას აღნიშნული მასალის გამოქვეყნების შესახებ გაზეთ „საქართველოს“ ერთგული მკითხველი, რომელიც ჩვენს გაზეთს უფრო სერიოზული და უფრო ტკივილიანი მასალების გამო ეძებს, იქნებ არაერთფეროვანი რეაქციით შეხვდეს, მაგრამ მისი პუბლიკაცია გათვალისწინებულია იმ კატეგორიის მკითხველთათვის, ვისაც გაზეთი თავშესაქცევი ამბების გამოც აინტერესებს (საბაზრო ეკონომიკა კი ასეთ მკითხველთა „გადმობირებასაც“ გვაიძულებს)...

ორიოდე ნარკვევი თავის დროზე გაზეთმა „კვარმა“ გამოაქვეყნა . ამის შემდეგ მთარგმნელმა შ. ჯიხვიშვილმა მასალის სრულად გამოქვეყნება ჩვენ გვთხოვა.

სრულად არა, მაგრამ ვბეჭდავთ „ბერიას დღიურს“ შემცირებული სახით.

### ჩანაწერი პირველი
### გაგრა, 1949 წ. ივნისი

დილით მზის მცხუნვარე სხივებმა გამომაღვიძეს. ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი... შავი ზღვის გამჭვირვალე ჰაერი რაღაც საოცრად მოქმედებს ჩემზე. მიუხედავად იმისა, რომ საღამოს ერთი ლიტრა ადუღებული ცხენის რძე დავლიე, თავს მსუბუქად ვგრძნობდი. მხოლოდ პროფესორი გამოიყურებოდა საშინლად: საუზმეზე ძლივს მოლასლასდა. სახე შეშუპებოდა და ისეთი შესახედი იყო, თითქოს არ უძინიაო. თქვა, რომ ელენთა აწუხებდა, მაგრამ მე უკეთ ვიცოდი მისი ტკივილის მიზეზი... „ბესო, ჩემო მეგობარო, შენ შენი ბურჟუაზიული აზრები გაწუხებს! რაც გუშინ მითხარი, ოც წელსაც ეყოფა!“ წამით გავიფიქრე, სადაცაა გული გაუსკდება და იატაკზე ზღართანს მოადენს-მეთქი, რადგან იმის ნახევარსაც ვერ გაიხსენებს,რაც წინადღეს ილაყბა. კარგად ვიცოდი მისი სუსტი მხარე — ეს იყო XIX საუკუნის რომანტიკული ლიტერატურა. მაგრამ მე მაინც მჯერა მისი. პატიოსანი ადამიანია და თავისუფლად შეიძლება ენდო. იგი თითქმის მიყვარს კიდეც და ძალიან მეწყინებოდა, მისი დაღუპვის მიზეზი რომ გავმხდარიყავი.მოხდებოდა უბედური შემთხვევა, რომელიც ბესოსათვის შეიძლება ტრაგიკულად დამთავრებულიყო, მაგრამ ახლა, როცა მომხდარს ვიხსენებ, სიცილით ვიგუდები.

დილით როცა ერთი წყება დეპეშებისა ჩავიკითხე, მათ შორის აღმოჩნდა იმ არარაობის — ს. ზარკნოვიჩის გამოგზავნილიც, რომელმაც ბოროდინოს პროექტის შესახებ თავისი კაპრიზები ყელში ამომიყვანა. არ მოგასვენებენ, სიამოვნებით მოვიშორებდი თავიდან.

ნადარაიამ სწრაფმავალი კატერის მზადყოფნა მიპატაკა. კატერი გუშინ საღამოს ჩამოიტანეს როსტოვიდან პირდაპირ მატარებლით. ჩვენმა გერმანელმა ამხანაგებმა, რომელთაც ეს კატერი ააგეს, იცოდნენ, რომ იგი თურქებისათვის სამეთვალყურეოდ იყო საჭირო. ბესოს თვალი ჩავუკარი და ვუთხარი, რომ ნახევრად დამშეულ გერმანიაში არ იყო საჭირო სცოდნოდათ, თუ სად იქნებოდა მათი ნახელავი კატერი, რომ იგი ჩემს გასართობს წარმოადგენდა. მეგონა, რომ ეს პატარა, თუმცა უმნიშვნელო საიდუმლო მას გაახალისებდა, მაგრამ შევცდი. იგი უფრო უბედური მეჩვენა. ვფიქრობ,რომ ჩემი რცხვენოდა. გადავწყვიტე გულუხვობა გამომეჩინა და სასეირნოდ წამეყვანა ამ უახლესი კატერით. 90 კვანძი სიჩქარე მას ხელად გამოიყვანდა ბახუსის მდგომარეობიდან.

კატერი პირსთან იდგა და მას ოთხი ქართველი იცავდა. იქვე იყო გერმანელი მექანიკოსი, რომელიც კაპიტანს ინსტრუქციას უთარგმნიდა. ჩემი მიახლოებისთანავე იგი გაშეშდა. გავეცინა და აზრი ვკითხე ჩემს პატარა სათამაშოზე. ისეთი არ ეგონოს, როგორითაც დასავლეთელი პლეიბოი თავის ბოზს ასეირნებს ხოლმე (მაშინვე მივაქციე ყურადღება, რომ გერმანელმა ყველაფერი კარგად გაიგო,რადგან უცებ აენთო და აცახცახდა).

ნადარაიას მივუბრუნდი და თვალი ჩავუკარი.

— პოლკოვნიკო! საჭიროა ორი ან სამი ლამაზი, წითური გოგო სვანეთიდან. — და გულიანად გავიცინე.

იცინოდნენ ნადარაია და სხვა ქართველებიც. გერმანელი კი ისე იყო დაბნეული, რომ ხან ერთს შეხედავდა თვალებდაჭყეტილი, ხან მეორეს. შემდეგ კი რაფიკმა,რომელსაც თვითონ ცოტა რამ გაეგებოდა ტექნიკის, კატერი დამათვალიერებინა. უნდა აღვნიშნო, რომ გერმანელები მართლაც კარგი ოსტატები არიან. ეს მანქანა ხელოვნების ნამდვილი ნიმუშიიყო. ჩიტივით ლამაზი და მიმზიდველი. გედივით თეთრი, მხოლოდ კიჩო ჰქონდა შავი,როგორც ფრინველის ნისკარტი. კატერი იდგა როგორც გასაფრენად გამზადებული ფრინველი. კორპუსი დამზადებული იყო ამერიკელების მიერ გამოგონებული ახალი შენადნობით,რომელსაც თვითმფრინავმშენებლობაში იყენებენ.იგი აღჭურვილია 125 ცხენისძალიანი ძრავით. სახელურები რეზინგადაკრული უჟანგავი ლითონის ჰქონდა,შიგნით ლაკგადასმული კაკლის მასალით იყო მოპირკეთებული. კატერი აგრეთვე აღჭურვილი იყო უკანასკნელი მოდიფიკაციის რადიომიმღებით, გადამცემით,რადიოკომპასითა და სარადარო სისტემით.

გერმანელს ვაგრძნობინე,რომ კმაყოფილი ვიყავი და ატმოსფეროც განიმუხტა. ყველა იღიმებოდა. გერმანელსაც გაეცინა.

ალბათ კარგად მოვიქეცით, სრულად რომ არ გავანადგურეთ გერმანელები და ცოტა მაინც დავტოვეთ 1945 წელს.

მე და ნადარაია კატერზე ავედით და მექანიკოსთან ერთად რამდენიმე წრე შემოვუარეთ. კატერი ბრწყინვალედ ემორჩილებოდა საჭეს. საჭესთან მჯდომს საოცრად მაბრაზებდა გერმანელის გამოხედვა, რომელიც ალბათ ფიქრობდა არაფერი დამეზიანებინა.



დავბრუნდით თუ არა,რაფ[illegible] ვუბრძანე კატერზე რამდენიმე ბ[illegible]ში, ყუთი-მაცივარი და ოთხი ბოთ[illegible] კარგად ჩაციებული ღვინო მოეტანა. მივიპატიჟე პროფესორი და ზღვაში შევცურეთ.

ზღვა იყო საოცრად მშვიდი, წყნარი. ერთი ტალღაც კი არ ჩანდა ჰორიზონტზე და ჩვენც კარგად გავცურეთ ხუთი თუ ექვსი კილომეტრი. სანაპირომ ისე ჩაგვიქროლა, თითქოს სწრაფი მანქანით მივქროდით. ვიცოდი, დაცვა, როგორც ყოველთვის,ტელესკოპით გვითვალთვალებდა და, ამას გარდა, ჩვენგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით სწრაფმავალი კატერები დაცურავდნენ, რომლებიც მზად იყვნენ გაჭირვების შემთხვევაში მოგვეშველებოდნენ.

გაგრა თითქმის თვალს მიეფარა.ჩვენ დაახლოებით ექვს კილომეტრზე ვიმყოფებოდით ნაპირიდან,როცა ზღვაში შევამჩნიე კატერი, რომელსაც კანჯო ჰქონდა გამობმული. თავიდან მესაზღვრეები მეგონა, მაგრამ მერე დავინახე გოგონა,რომელიც კანჯოსთან მიცურდა და ორმა მამაკაცმა ამოიყვანა იგი წყლიდან. სვლა შევანელე და დურბინდი მოვიმარჯვე, რათა უფრო კარგად შემეთვალიერებინა.ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სილამაზეა! ნამდვილი ქანდაკებაა,მოოქროვილ-კაკაოსფრადაა დამწვარი. აცვია თვალისმომჭრელი თეთრი საბანაო კოსტუმი. როდესაც მამაკაცებს იგი კანჯოზე აჰყავდათ,მისი დუნდულები მწიფე ქლიავივით ბზინავდა. პროფესორმა მითხრა, რომ იგი ერთ-ერთი ჩემპიონია შორს დისტანციაზე ცურვაში.

მე უკვე შეტევის გეგმას ვამუშავებდი, როდესაც იგი კანჯოზე წამოდგა და გრაციოზულად ჩაყვინთა წყალში. ვუცქეროდი როგორ ძლიერად, აუჩქარებელი კროლით მიცურავდა. კატერი და კანჯო კი იდგნენ და ელოდნენ. სიჩქარეს მოვუმატე და ისე გავემართე ქალიშვილისაკენ რომ მისი ყურადღება არ მიმეპყრო. ჩემთვის ერთადერთ წინაღობას ბესო წარმოადგენდა. თავბედს ვიწყევლიდი მისი წამოყვანისათვის.

ძრავა მხოლოდ მაშინ გამოვრთე, როცა გოგონამ ჩაყვინთა და ბესოს ვთხოვე, ღვინო გაეხსნა. გოგონა კანჯოდან დაახლოებით ექვსას მეტრზე იმყოფებოდა. ვაცალე ბესოს ღვინო კარგად მოეყუდებინა და შემდეგ კატერიდან შევამოწმებინა, ხომ არაფერი იყო დახვეული ხრახნზე.

ტანთ გავიხადე და მხოლოდ საბანაო კოსტუმში დავრჩი.ბესო კი ისევ ჩვეულებრივ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. როდესაც გადაიხარა, მე გადავხტი და ისე მაგრად ვკარი ფეხი, რომ იგი ელვის სისწრაფით გაუჩინარდა წყალში. როცა ამოცურდა, ღრმად ამოისუნთქა და დამიძახა:

— მიშველე ლავრენტი, მე ხომ ცურვა კარგად არ ვიცი!

მე გამეცინა და მაშველი რგოლი გადავუგდე.

ნუ გეშინია, არ დაიხრჩობი ჩემო მეგობარო! — დავუძახე და სამართავ პულტთან დავბრუნდი. კანჯოიანი კატერი ჩვენგან არც ისე შორს იყო. ამას გარდა ზღვაში ბევრი სამეთვალყურეო კატერი დაცურავდა და ვიცოდი,რომელიმე მათგანი მაინც მიეშველებოდა მას. არა უშავს, ბებერ ჩერჩეტს არ აწყენდა მშვენიერ შავ ზღვაში ბანაობა.

შემდეგ ძრავა სრულ ბრუნზე გადავიყვანე და გოგონასკენ გავცურე.

უნდა ვთქვა,რომ ჩემი მოქნილობა თვითონვე მომწონდა, რადგან კატერი ისე მკვეთრად მოვაბრუნე და ისე ახლოს გავაჩერე გოგონასთან, მისაწვდომად ერთი ხელის გაწვდენაღა იყო საჭირო. მან შეშინებული თვალებით შემომხედა. ხომ არ მიცნო-მეთქი, უცებ გავიფიქრე.შემდეგ გადავძახე არ შეშინებოდა და როგორც კი იღლიებში ხელი ამოვდე, მაშინვე ვიგრძენი მისი სველი თმის სასიამოვნო სურნელი.

იგი ბევრად უფრო სრულყოფილი იყო, ვიდრე შორიდან ჩანდა, — სპორტსმენის ფიგურა, მაღალი დაკუნთული ფეხები, წვრილი წელი, მუცელი სწორი, რომელზედაც ერთ ნაოჭსაც კი ვერ შეამჩნევდით, დიდი მკერდი (ორი ნესვი, რომელზედაც საცურაო კოსტუმი ჰქონდა გადაჭერილი). გამახსენდა,რომ მასთან, როგორც პრივილეგირებულთა წრის წარმომადგენელთან თავი ნამდვილ ჯენტლმენად უნდა დამეჭირა.ვფიქრობდი, თუ კატერს დაუკვირდებოდა, უნდა მიმხვდარიყო,რომ მე ერთ-ერთი დიდი ფიგურა ვარ.მაგრამ მე ხომ მხოლოდ საცურაო კოსტუმში ვიყავი, უფორმოდ, უორდენებოდ, — არც პენსნე, ამიტომ არც ვიყავი დარწმუნებული,რომ მიცნობდა.მე მხოლოდ ჩემი სახელი ვუთხარი და თან ავუხსენი, რომ საზღვაო ოფიცერი ვარ ოდესიდან. ამან მასზე, როგორც ჩანს შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან დაძაბულობა მოეხსნა. მე ცოტაოდენი ღვინო შევთავაზე და მანაც თბილი ღიმილით მიიღო შეთავაზება. შემდეგ ამოვიღე ხალათი, მოვახურე,ისევ მივაწოდე ღვინო და წინადადება მივეცი ჩემს გვერდით დამჯდარიყო.მან მოიხადა ქუდი და...

ჩემს წინ ნამდვილი სილამაზის ქალღმერთი იდგა. მისი თმები მწიფე ქერის ფერი იყო — გოგონა,რომელზედაც მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა! უცებ მომაგონდა,რომ იმ დაწყევლილი ტელესკოპებით მთელ სანაპიროზე დაბორიალობდა დაცვა და ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ. დავბრუნდი საჭესთან და პირდაპირ ზღვისკენ მივმართე იგი.

ყველა ქალს, ვინც არ უნდაიყოს და საიდანაც უნდა იყოს იგი, უყვარს სისწრაფე. მე ავუხსენი,რომ ეს კატერი ყველაზე სწრაფია მსოფლიოში. ვიგრძენი როგორ გაუბრწყინდა თვალები და გავიფიქრე. რომ ეს გასეირნება მისთვის სასიამოვნო იქნებოდა. ჩავრთე სრული სიჩქარე. სამი წუთის შემდეგ უკვე ისე შორს ვიყავით,რომ სანაპირო აღარც კი ჩანდა.

ამასობაში სრულიად გადამავიწყდა პროფესორი. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი სანაპიროს დაცვა არ გამომყოლოდა უკან.ვიფიქრე რადიოს გამოყენებაც, მაგრამ არ მინდოდა გოგონას რაიმეში დაეჭვება. ბოლოს მაინც გადავწყვიტე,რომ ბიჭებს შეუძლიათ დისტანციის დაჭერა და სისულელეს არ ჩაიდენდნენ. მითუმეტეს,რომ ისინი კარგად მიცნობდნენ.

ძრავა მხოლოდ მაშინ გამოვრთე,როდესაც ჰორიზონტზე არავინ ჩანდა. ზღვა წინანდებურად წყნარი და მშვიდი იყო. მოულოდნელმა სიმშვიდემ ჩვენში მცირეოდენი მღელვარება გამოიწვია. გავიხუმრე კიდეც ამ თემაზე და ვკითხე ნაპირიდან ასე შორს როგორ გრძნობდა თავს მამაკაცთან ერთად. მას გაეღიმა.— საკმაოდ კარჩაკეტილია, — გავიფიქრე მე. კიდევ ერთხელ შევთავაზე ღვინო და მანაც დალია. შემდეგ ჩემსკენ მივიზიდე კიდეც. მისი სხეული ნელ-ნელა შრებოდა სიოზე. ვიგრძენი,რომ გოგონა ფიზიკურად საკმაოდ ძლიერია. იმედი მომეცა, რომ მისდა საკეთილდღეოდ წინააღმდეგობას არ გამიწევდა.

ჩვენ ცოტა წავისაუბრეთ და აღმოჩნდა,რომ იგი მოწინავე კომკავშირელია. ჩემი გამოცდილებით მივხვდი, რომ იგი ნამდვილი მიწიერი არსებაა. უკვე მაგიჟებდა მისი ღიმილი. შევურჩიე მომენტი, მოულოდნელად გავუხსენი საცურაო კოსტუმი ზურგზე, ჩამოვუწიე და ხელი ჩავჭიდე მის მშვენიერ მკერდს, თან სულ ველაპარაკებოდი. ვესაუბრებოდი მეგობრულად, მაგრამ მტკიცედ,ის კი მისმენდა სერიოზულად. მას უძირო თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი და მასში ინტელიგენტი ბავშვის უმანკოება იკითხებოდა.მალე მივხვდი,რომ ჩემს საბანაო კოსტუმში სულ უფრო იგრძნობოდა მღელვარება... „კმარა!“,დავიყვირე. ერთი ხელი თმებში ჩავავლე, მეორეთი საცურაო ტრუსი გავიხადე და მის წინ სრულიად შიშველი დავდექი. თავი დავახრევინე და ჩემდა გასაოცრად, იგი, წინააღმდეგობას კი არა, ისეთი მონდომებით და ცოდნით შეუდგა საქმეს,რომ თუ არა უდიდესი სურვილი, ეს დამამცირებლად მომეჩვენებოდა. —შემდეგ ხელები თმებში ჩავავლე ისე,რომ მან დაიწკმუტუნა, ავწიე, სახით ბალიშზე დავაგდე,ტრუსი გავხადე და მუხლებით გავუწიე ფეხები. თავდაპირველად იგი დაძაბული იყო. მე ეჩუშობდი ნაზად, რომ არაფერი მეტკინა მისთვის, მაგრამ იგი სრულიად მოწიფული გოგო აღმოჩნდა და მალე ჩემი ტაქტის მიხედვით დაიწყო მოძრაობა. მე ვჭმეტდი მის ძუძუს თავებს, მუცელს, თეძოებს, დუნდულებს. შემდეგ მეტი შეკავება აღარ შემეძლო... ამან ჩემში საშინელი თავბრუსხვევა გამოიწვია.

მას კიდევ ჰქონდა სურვილი და ისევ ისე იწვა, მაგრამ მე მოფერებით გავუხანგრძლივე სიამოვნება.როცა ყველაფერი დამთავრდა — მან ტირილი დაიწყო. კიდევ დავუსხი ღვინო, მაგრამ ამან უფრო აატირა.მაშინ კი უკვე მკაცრად ველაპარაკე. ავუხსენი, თუ ჭკუით იქნება, ვიზრუნებ ჩართონ მოსკოვში 18 ივლისს დანიშნულ ფიზკულტურელთა პარადის მონაწილეთა სიაში. თანაც გავაფრთხილე, რომ დიდი კაცი ვიყავი. როგორც ჩანს, ამან დაამშვიდა და შემდეგ კიდევ დავლიეთ.ბოლოს ძრავა ჩავრთე. მან მითხრა, რომ უნდა დაბრუნდეს, მაგრამ დავამშვიდე და პირდაპირ გაგრისკენ გავეშურეთ.

ჩემიანები პირსთან მელოდნენ. გოგონას ისე ეპყრობოდნენ, როგორც ძვირფას სტუმარს. იგი საბოლოოდ დავამშვიდე. მის ხელმძღვანელებთან ყველაფერი მე უნდა მომეგვარებინა და იგი ჩემი სტუმარი იქნებოდა.

აგარაკზე გავიგე, რომ პროფესორი ერთ-ერთ საპატრულო გემს აუყვანია. ამჟამად შეუძლოდ გრძნობდა თავს. განკარგულება გავეცი თბილისამდე ღამის მატარებლის საძინებელ ვაგონში მოეწყოთ იგი. მჯერა, რომ საკმაოდ კარგად ვიცნობ ჩემს ბესოს და დარწმუნებული ვარ მიხვდება ენას კბილი დააჭიროს.

ჩემი პატარა ლიუდმილა, — ასე ერქვა მას, — დარჩა ჩემთან ვახშამზე და ამის შემდეგ მე მის მიმართ შეუბრალებელი ვიყავი, თუმცა უნდა ვთქვა,რომ ისიც კარგი მოწაფე გამოდგა და მეტი აღარ უტირია.

რაფიკს ვუთხარი დილით გაეცილებინა იგი. დაე, გააგრძელოს ვარჯიში თავის კანჯოზე. ლიუდმილამ ისიც მითხრა,რომ რვა დღის შემდეგ მისი დაბადების დღე იყო. მე ეს ჩემი უბის წიგნაკში ჩავინიშნე და გავუგზავნე კიდეც ვარდები და შოკოლადი სასტუმროში, სადაც

თავის მწვრთნელთან ერთად ცხოვრობდა.

თარგმნა
შერმადინ ჯიხვაშვილმა

გაგრძელება იქნება

რეპლიკა

# პოსტკომუნისტური მორევი თუ პროვინციალიზმის ჭაობი?

კარგა ხანია გაზეთი „აჭარა" ძველკომუნისტური, უფრო სწორად პოსტკომუნისტური მეთოდებით მუშაობს, რაც იმით გამოიხატება, რომ გაზეთი არსებითად აჭარის ხელისუფლების პოლიტიკის გამართლების პროპაგანდით იფარგლება.

არავითარი სხვა შეხედულება, არავითარი განსხვავებული აზრი!

გაზეთში ხელისუფლების პოლიტიკის ქებათაქების, ოფიციალური ინფორმაციების, იშვიათად კი საინტერესო მასალების პარალელურად პერმანენტულად ქვეყნდება აჭარის ხელისუფლების ოპონენტთა წინააღმდეგ მიმართული წერილები. ამასთან ოპონენტებისათვის „აჭარის" გვერდები საიმედოდაა „ჩარაზული", რაც ცხადს ხდის გაზეთის ტენდენციურობასა და პოსტკომუნისტურ ხასიათს.

„აჭარაში" შემოღებულია რუბრიკა — „რაც აჭარაზე ითქვა" (უფრო სწორი კი იქნებოდა — „რაც აჭარის ხელისუფლების საქებრად და მისი ოპონენტების სალანძღავად ითქვა"). ამ რუბრიკით მარტო ამ წელში „აჭარაში" სხვა გაზეთებიდან ოცამდე დიდი და პატარა წერილი გადაიბეჭდა, რომლებშიც უმთავრესად ქებათაქებაა აღვლენილი აჭარის ხელისუფლებისადმი, ხოლო ზოგიერთ წერილში ორი-სამი წინადადებით კრიტიკულადაა მოხსენიებული აჭარის ხელისუფლების ოპოზიცია. როგორც ერთი, ისე მეორე მოტივი საკმარისი პირობაა ამ სახის წერილების უმალ „აჭარაში" გადაბეჭდვისა.

ამასთან გაზეთი „აჭარა" სულაც არ აქცევს ყურადღებას ისეთ წერილებს, რომლებიც თავიდან ბოლომდე აჭარასა და მისი პრობლემებისადმია მიძღვნილი იმ უბრალო მოტივით, რომ მათი ავტორები აჭარის ხელისუფლების ოპონენტები არიან.

სამაგიეროდ გაზეთის ერთერთ ბოლო ნომერში დიდი ამბითაა წარდგენილი საბჭოთა კონსტრუქტორი მ.კალაშნიკოვი. ლაპარაკია მის ორგზის სოციალისტური შრომის გმირობასა და ლენინური პრემიის ლაურეატობაზე. რა შუაშია ეს და ახლა ამის დროაო, შეიძლება იკითხოს გაკვირვებულმა მკითხველმა, მითუმეტეს, რომ მ.კალაშნიკოვის წიგნიდან ერთ ნაწყვეტს მისი ავტორის პორტრეტით გაზეთის მთელი გვერდი ეთმობა. მოტივი მარტივია: მ.კალაშნიკოვს ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი მისი მეგობრის — აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისადმი უჩუქებია.

გაზეთიდან ვგებულობთ აგრეთვე, რომ დღეს საქართველოში მხოლოდ აქ აჯილდოებენ ძველებური აჭარის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელებით. თავისთავად ეს ფაქტი კურიოზულია, მაგრამ, როცა დაჯილდოებულთა შორის ცნობილი ქართველი მწერლების გვარებს ამოიკითხავ ცოტა გულს მოგეშვება. მაგრამ მათთან ერთად დაჯილდოებულია აჭარის ერთერთი ბაზის დირექტორიც, პიროვნება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში საჩივარს საჩივარზე აგზავნიდა მოსკოვში: გვიშველეთ აჭარლებს,ქართველები გვავიწროვებენო. მაშინ ეს გარჯა, ყოველ შემთხვევაში სახელოდ მაინც, მისთვის არ დაუფასებიათ. სამაგიეროდ, როგორც ვხედავთ, ახლა დაუფასდა!

არ ვიცი ვის როგორ უღირს ეს საპატიო სიგელი, მაგრამ ამ კამპანიაში ჩემი ბათუმელი მეგობარი მწერლების გვარები რომ ამოვიკითხე, გულწრფელად დამენანენ ისინი ამ ეგზომ „დიდი" ჯილდოსათვის.

რა არის ყველაფერი ეს, რაზედაც საუბარი გვქონდა — პოსტკომუნისტური მორევი თუ პროვინციალიზმის ჭაობი? ორივე ერთად ხომ არა?!

მიხეილ მახარაძე

# კ ა ც ი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულმა ომმა, ბევრი სისხლი მოითხოვა. ძალიან ბევრი ვაჟკაცი ჩაიხუტა მშობლიურმა მიწამ, მართლაც რომ რჩეულზე-რჩეულნი. მაგრამ, მათ შორისაც კი, იყვნენ ისეთები, რომლებიც ამ თითქმის ერთწლიანი ომის, იქ ამ ვაჟკაცთა გმირული თავგანწირვის, საერთოდ ქართული სულის სიმბოლოებად რომ იქცნენ და დარჩნენ სამარადისოდ. ერთ ასეთ ვაჟკაცზე იწერება ეს მოგონება.

გიორგი (გია) ჯაფარიძის უახლოესი წინაპრები რაჭიდან ბოლნისში ჩასახლდნენ, თვითონ ახმეტაში დაიბადა და გაიზარდა, თბილისში დავაჟკაცდა და კაცად საბოლოოდ მესხეთში, კერძოდ ადიგენში ჩამოყალიბდა. იგი მართლაც მთელი საქართველოს შვილი იყო და ასეთივე შევიდა მარადისობაში.

ეროვნული სულის გამოღვიძებამ გიას ადიგენში მოუსწრო. საბოლოოდ დარჩება ადიგენის მცხოვრებთა ხსოვნაში ის ცეცხლი, ის გზნება, რაც ამ, დანარჩენი საქართველოსგან თითქმის მივიწყებულ კუთხეში გიამ დანთო.

ჭარბი, ხანდისხან გაუმართლებლად ჭარბი სისხლის ფასად, საკუთარი ჯანმრთელობის, ჭრილობების, მეგობართა სიკვდილის ფასად, გია და ათასობით გიასნაირი ქვეყნის, სამშობლოს პატრონებად ყალიბდებოდნენ. ბრძოლასაც სწავლობდნენ და მტერსაც თავის მიმართ, საერთოდ ქართველი ვაჟკაცის მიმართ რიდსა და პატივისცემას ასწავლიდნენ. ხანმოკლე მშვიდობიანობის პერიოდებში სახლებში მობრუნებულნიც სამშობლოს ინტერესებით, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტ ჭირისუფალთა თვალით ზომავდნენ ყოველივეს და თავისი ღირსების შესაბამისად იქცეოდნენ. შედარებითი მშვიდობა გიასათვის, ისევ ახალ საქმეთა წამოწყების შესაძლებლობას ნიშნავდა. მესხეთში, მისი და მისი მეგობრების უკანასკნელად წამოწყებულ საქმეს, მიუხედავად გიას გამოკლებისა, თუ ღირსეული გაგრძელება მიეცა, საქართველო აუცილებლად იგრძნობს ამ წამოწყების მადლს. დანარჩენი, როგორც იტყვიან ღმერთმა და გიას მეგობრებმა იციოდნენ.

მუდამ რაღაცა საქმით დაკავებულს ოჯახში ყოფნისთვის ენანებოდა ხშირად დრო. 28 წლის ბიჭმა, იმდენი რამე მოასწრო, ბევრ, ხანგრძლივ ცხოვრება განვლილსაც რომ შეშურდებოდა. ჰკითხეთ გაღვიძებულ მესხეთს, მის სამეგრელო სამაჩაბლოს სოფლებს, ჰკითხეთ მის დამტირებელ ოჩამჩირეს — ბევრი ექნებათ სათქმელი საქმეში ჩახედულთ.

16 მარტს, სოხუმზე მძლავრი იერიშისას, ტელევიზორს მაცქერალმა გიამ, როცა 18—19 წლის სოხუმის დამცველები დაინახა, ქვეყნისთვის საჭირო საქმეში ჩართულ მეგობრებს უთხრა — სირცხვილია ისინი იქ იყვნენ და ჩვენნაირი გამოცდილი ხალხი აქ? და დაამატა — მე, ჩემდა თავად მივდივარო და წავიდა. პირველად და უკანასკნელად წავიდა ბრძოლაში როგორც ექიმი. თუმცა გიარის გია იქნებოდა რომ დაესვენა. ხშირად ადიოდა თავის, ახალციხის ბატალიონის მებრძოლებთან წინა ხაზზე და მათთან ერთად „მუშაობდა" ძველებურად. ბუნებით გონება და ხელმარჯვეობა, ერთ თვეში, ოჩამჩირეში მიუხედავად ბევრი გაუგებრობისა და წინააღმდეგობისა, მაინც შესძლო ჰოსპიტალის სტრუქტურულ-ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, კადრებით და მატერიალურად უზრუნველყოფა.



სურათზე: გია ჯაფარიძე შვილთან, ალექსანდრესთან ([illegible])

ღირსებებით სავსეს, ერთიც ჰქონდა — ალბათ მთავარი — თავმდაბლობა. ახლოს არ იკარებდა ფოტო და ტელეჟურნალისტებს — მე რა გადასაღები ვარ, ხალხის მეტი რა არისო. ამიტომაცაა სანთლით საძებნელი, მასზე შემორჩენილი, წამიერი, შემთხვევითი კინომასალა.

ოჯახი 4 ივლისს, დედის დაბადების დღეზე ელოდა გიას, მის გარეშე მოუხდათ აღნიშვნა და თანაც ისე, რომ არც კი იცოდნენ 2 ივლისს გამთენიისას, დესანტის გადმოსხმისას რა ტრაგედია დატრიალდა. არავინ იცის, იცოდა თუ არა გიამ იმ დილით, რომ დესანტს სოხუმი-ოჩამჩირის მაგისტრალის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებული ჰქონდა.

არა, რომ არ წასულიყო, გია, გია არ იქნებოდა. ტყუილად კი არ თქვეს, ალყიდან თავდაღწეულმა მისმა მეგობრებმა ამაყად — გია სხვანაირად ვერ მოიქცეოდაო და აშკარად ემჩნეოდათ, თვითონაც რომ ანალოგიურად გიას გასაჭირი გავგოთ, უყოყმანოდ წავიდოდნენ მისი გულისათვის სიკვდილზე, მის გამოსახსნელად. სულ სხვაა საფრონტო ძმობა — ამას იქ არ მყოფი ვერასოდეს გაიგებს.

ვუსმენდი ამ, ჯოჯოხეთ გამოვლილ ბიჭებს და ვფიქრობდი. ხშირად მსმენია საყვედურები და მიგრძვნია ადამიანთა გაღიზიანება იმათ მიმართ, ვინც ამ დროში დუბაიში თუ დელიში მოგზაურობს, ასი ათასს და მეტს ერთ საღამოს ხარჯავს რესტორანში (იმის მაგივრად, რომ თუ „გადასაყრელი" ფული აქვს, ფრონტისთვის ტყვია-წამალი იყიდოს, როგორც ამას მისი „თანმოძმე" აფხაზი შერება), იმათ მიმართ, ვინც უაზროდ დააპროწიალებს იარაღს ქალაქში და სამხედრო ფორმას ამოფარებული, ვინ იცის რას შერება. ზოგ გიას ნაცნობ-მეგობარს კვნესასავით აღომხდა — ეგეთები გიასნაირების სისხლზე ჯიბეს ისქელებენ და გია მიწაში უნდა იწვეს, გიას ბიჭი ობლობაში და გაჭირვებაში უნდა გაიზარდოსო.

თქვენს გასაგონად ვამბობ ქართველებო — განა „ქართველი" ვისაც უწერია პასპორტში, ყველა ქართველია? განა ტელევიზორის წინ სავარძელში მწოლიარე, მეტი ჭამისაგან აქოშინებული ბრგე ვაჟკაცი, დაღუპულთა ჩვენებისას გუნებაში რომ გაივლებს (უარესი კიდევ — რომ იტყვის!) — აი სულელებიო — განა ის ქართველია? ამ ვითომ ქართველთან, ლაპარაკიც არ ღირს — ვერ გაიგებს ვერასოდეს, რითი სჯობია გიასნაირი სიკვდილი მის არსებობას და რა უნდა ქნა.

გიას სიკვდილი, ყოველგვარი თამაშის გარეშე, ბევრმა მისმა მეგობარმა მართლა არ დაიჯერა, სანამ არ ნახეს და რომ ნახეს... მე ამდენი მამაკაცის, თან ასეთი გლოვა და მინახავს.

დაკრძალვაზე მისმა ძმადნაფიცმა თქვა — გია საქართველოს მოუკვდაო. ჭეშმარიტად — სამშობლომ გაზარდა კაცად და სამშობლოსვე შეეწირა კაცობისა და ქართველობის შეუბღალავად.

არა, არ მაღიზიანებს, მე მიხარია ქუჩებში მხიარული გოგო-ბიჭების შეხვედრა. მე მეამაყება რომ მათი ნაწილი ვარ, იმ ერის შვილი ვარ, გიასნაირი კაცების გაზრდა რომ შეუძლია. არ ვყოფილვართ არც ბეჩავნი, არც ჯაბანნი, არც ყველაზე საზიზღარი ერი — როგორც გვაკივის ზოგიერთი. ჭუჭყი ყველგანაა, ჭუჭყით არ იზომება ერი. გიაც ასე დადიოდა ქუჩებში მხიარული, ასევე უდარდელი იყო, ასევე უყვარდა სიცოცხლე და ვინ იფიქრებდა მაშინ, თუ რისი შემძლე და გამკეთებელი იყო თავისი ქვეყნისათვის. ვინ იცის რამდენი მომავალი გია და ღმერთმა ქნას, მასზე უკეთესი დადის ჩვენს თვალწინ. ჩემი ერის სული ხელშეუხებლად ძლიერდება და თუ ისეთ საქართველოს ავაშენებთ, როგორზედაც გია ოცნებობდა, რომლისთვისაც თავი დასდო (და მე მწამს რომ ავაშენებთ), მაშინ არც გიას სახელს ემუქრება დავიწყება და არც მის ბიჭს გაჭირვება. და ის ბიჭებიც, დღეს უდარდელად მოსეირნენი, გიას მსგავსად, უშიშარნი ვითარცა უზორცონი, მტკიცე ფარად დაუდგებიან საქართველოს.

ეს მოგონებაც, მათთვის უფრო დაიწერა და მუხრანის თქმისა არ ი ყოს — „არონ"...

შალვა ივერიელი

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ თავდაცვის ფონდში

# თენგიზ მუმლაძე



თურმე რამდენ ტკივილს, დარდსა და ვარამს იტევს გული, რამდენ ელდასავით მოვარდნილ უბედურებას უძლებს იგი.

ვინ იფიქრებდა ჩვენს საძმოში, იმ საძმოში, რომლის ხერხემალიც, გულიც და სიამაყეც შენ იყავი, ჩვენო ძმაო თენგიზ, ასე უეცრად გამოგვეცლებოდი ხელიდან. ასე დაუმშვიდობებლად წახვიდოდი ჩვენგან და შენს ძმებს, შენს ფიცვერცხლნაჭამ მეგობრებს სამუდამო ტკივილს დაგვიტოვებდი გულში, ტკივილს, რომელსაც თენგიზ მუმლაძე ჰქვია.

ოთხ ათეულ წელს ცოტათი გასცდი, მამაშენივით შენც ამ ასაკში გიმტყუნა ბედმა, მაგრამ დატოვე ნაღდი ქართველის, ნაღდი თბილისელი კაცის, კაცური კაცის სახელი. არც ბრძოლაში, არც მეგობრობაში უკან დახევა არა გჩვეოდა.

როცა სამშობლოს დასჭირდა, ცხინვალშიაც მედგრად იბრძოლე და აფხაზეთშიც გვერდით დაუდექი შენს მეგობრებს. შენი წილი საქმე იქაც გააკეთე.

სამშობლო იყო შენი უპირველესი საფიცარი. ამიტომაც შეუერთდი ეროვნულ მოძრაობას პირველ დღეებიდანვე, ამიტომაც გახდი საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საქმისათვის შენც გებრძოლა შენს ძმებთან ერთად.

გაგვიჭირდა, რომ აღარა გვყავხარ, ძმაო თენგიზ. ფრთამოტეხილები დავიარებით შენი ძმაკაცები, ერთმანეთს თვალებს ვერ ვუსწორებთ, ვითომ ცრემლებს ვმალავთ. ზოგჯერ არც კი გვჯერა, რომ აღარ ხარ ჩვენს შორის და ასე გვგონია, აგერ, ახლა შემოაღებ კარებს და შენებური ღიმილით შემოგვკრავ ბეჭებზე ხელს.

გვიჭირს, ძმაო თენგიზ, მაგრამ მაინც უნდა დაგემშვიდობოთ: მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი საფიცარი სამშობლოს მიწა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

მშვიდობით, ძმაო! გწამდეს, რომ შენი მეგობრების გულში დარჩები მარად ტკივილად, ტკივილად, რომელსაც თენგიზ მუმლაძე ერქმევა სახელად.

შენი საძმო

# სამძიმარი

გუშინ გაზეთი უკვე დაკაბადონებული იყო, როცა შევიტყვეთ, რომ აფხაზეთის ომში დაიღუპა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი, გვარდიის პოლკოვნიკი **ზაზა დუმბაძე.**

სამძიმარს ვუცხადებთ სამშობლოს თავისუფლებისათვის შეწირული ვაჟკაცის ოჯახს.

საქართველოს სახალხო ფრონტი
გაზეთ „საქართველოს" რედაქცია


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ჯემალ კასრაძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
80 კუპონი